# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



შაბათი, 18 თებერვალი, 2012 წელი.

№33 (6910)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## „საპარლამენტო არჩევნები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა. თუ არ მოიგებ, სააკაშვილი და ნაც-მოძრაობა ხელისუფლებაში უმრავლესობით დარჩებიან“... ③



## „სხვაგვარი როგორი შეიძლებოდა, ყოფილიყო საინიციატივო ჯგუფი, ძნელად წარმომიდგენია“ ④

## საქართველოს მთლიანობისა და ერთიანობის გასაღები ③



## მაშ, რატომ იბრიქება მიშა? ⑪

## გააუმჯობესებს თუ არა ქართველების შრომის პირობებს აშშ-სთან თავისუფალ ვაჭრობაზე შეთანხმება? ⑧



კვირაძალს საკითხავი

## სამეგრელოს ეპისკოპოსის ცხოვრება და ბედი ⑥ ⑦



## გენერლის შვილიშვილის მონათხრობი



ისრაელის საელჩოს განცხადება

# ილია მეორის იერუსალიმში ვიზიტთან დაკავშირებით




**როგორც საელჩოს განცხადებაშია აღნიშნული, ვიზიტის დროს მისი უწმინდესობა იერუსალიმის მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქს თეოფილე მეორეს ეწვევა და ქრისტიანულ ადგილებს მოინახულებს.**

ამასთან, ისრაელში ყოფნის დროს ილია მეორე შეხვდება ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტს შიმონ პერესს, ისრაელის მთავარ რაბინს და სხვა მაღალჩინოსნებს. საქართველოს პატრიარქი ესტუმრება ისრაელის პარლამენტს (ქნესეთს), გოდების კედელს და ჰოლოკოსტის ხსოვნის მუზეუმს (იად ვაშემს).

ილია მეორე ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელებსაც შეხვდება.

მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ისრაელში 16 თებერვალს გაემგზავრა. უწმინდესი ისრაელში 24 თებერვლამდე დარჩება.

SIC!

# რა ქნან, კისერიც უტეხიათ?

## ათასობით სტუდენტი უფულობის გამო სწავლას თავს ანებებს

**ათასობით სტუდენტი სწავლის გადასახადს ვერ იხდის და იძულებულია, უმაღლეს განათლებაზე უარი თქვას, საუკეთესო შემთხვევაში კი დროებით გადადოს, სანამ თავად მას ან მისი ოჯახის წევრებს შესაბამისი თანხა გაუჩნდებათ. საქართველოში 10 000 სტუდენტს, სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, სტუდენტური სტატუსი აქვს შეჩერებული. გამოსავალი არ ჩანს, ვითარება თანდათან მძიმდება.**

**„მოვითხოვთ, სახელმწიფომ მათთვის სუბსიდია გამოყოს. რა ქნან იმ სტუდენტებმა, რომლებიც საფასურს ვერ ფარავენ? მათ არ აქვთ განათლების მიღების უფლება?“** — ამბობს დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაციის პრეზიდენტი ალექსანდრე კობაიძე.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის სტატუსის შეჩერებას არ უარყოფს თავმჯდომარე მანანა ნიკოლეიშვილიც. მისი თქმით, ბოლო წლებში ბევრმა სტუდენტმა აიღო აკადემიური იმის გამო, რომ მისი ოჯახი სწავლის საფასურს ვერ ფარავდა.

**„ჩვენ უმაღლეს სასწავლებლებში დაწესებული სწავლის საფასური სახელმწიფოს მიერ არაგონივრული პოლიტიკის გატარებაზე მიანიშნებს. მშობლების უმეტესობა ვერ წვდება ამ გადასახადს, მით უფრო, რომ ახლა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები, რომლებსაც სწავლის გაგრძელება სურთ, ოთხის ნაცვლად, უკვე რვა საგანში ემზადებიან რეპეტიტორთან“.**

ნიკოლეიშვილის გამოანგარიშებით, საერთო ჯამში, უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებამდე, მშობელი ბავშვისათვის დაახლოებით 16 ათას ლარს იხდის (ბაღის გადასახადი, სკოლის გადასახადი, რეპეტიტორები). ამ ყველაფერს ემატება უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გადასახადი, რომლის დანგარიშება იმაზეა დამოკიდებული, ესა თუ ის აბიტურიენტი რომელ ფაკულტეტს და სპეციალობას აირჩევს.



**„საქართველოს პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საშუალო გადასახადი წელიწადში დაახლოებით 4000 ლარია და ბაკალავრის დიპლომის აღებამდე (4 წელიწადში) 16 ათასი ლარი უნდა გადაიხადოთ. იმ შემთხვევაში კი, თუ თქვენი შვილი მაგისტრატურაში გადაწყვეტს სწავლის გაგრძელებას, რაღა თქმა უნდა, სწავლის საფასური აქაც უნდა დაფაროთ. ასე რომ, თუ გსურთ, შვილს სრულფასოვანი განათლება მისცეთ, ოჯახის ბიუჯეტიდან 32-35 ათასი ლარი მაინც უნდა გადადოთ.**

**მოკლედ, საბავშვო ბაღიდან დაწყებული და უმაღლესი სასწავლებლით დამთავრებული, ყველაფერი ისეთ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რომელსაც საშუალო შეძლების ოჯახი გაჭირვებით, ზოგჯერ კი საერთოდ ვერ წვდება“,** — აცხადებს ნიკოლეიშვილი.

**„სტუდენტური სტატუსი მართლა შეუჩერდა რამდენიმე სტუდენტს, მაგრამ ეს დროებითია. როგორც კი ისინი საფასურის დაფარვას შეძლებენ, ჩვენ დაუყონებლივ აღვუდგენთ სტატუსს“,** — აცხადებს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი ოთარ ზუმბურიძე.

ტექნიკური უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტი კი აცხადებს, რომ იმ პირობებში, როცა ზოგიერთ ოჯახში ორი და ორზე მეტი სტუდენტი ცხოვრობს, 2250 ლარი რთული გადასახდელია და ისინი იძულებული არიან, უნივერსიტეტში სწავლა შეწყვიტონ.

სტუდენტური სტატუსი სწავლის გადაუხდელობის გამო ბევრ სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებსაც შეუჩერდათ. უნივერსიტეტების ხელმძღვანელობა მათგან სწავლის საფასურის დაფარვას ელოდება.

გავრცელებულ ინფორმაციას ადასტურებს განათლების ლიგის

ეკა ბაქრაძე

ირანის კრიზისი და ჩვენ

# აგვისტოს ომი კომპიუტერულ თამაშად მოგვეჩვენება...



**უკიდურესად იძაბება ვითარება ირანს, ისრაელსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ამერიკამ უკვე ღიად გამოაცხადა, რომ შესაძლებელია საჰაერო და სახმელეთო ოპერაციები დაიწყოს ირანის ბირთვული პოტენციალის განადგურების მიზნით.**

არაოფიციალურ დონეზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ომის დაწყების შემთხვევაში აშშ-ს სამხედრო ძალებმა შესაძლოა საქართველოს ტერიტორია გამოიყენონ. ქვეყნის ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს მიერთებას ანტიირანულ სანქციებთან.




ამ თემას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი ბარამიძე გამოეხმაურა: იმის მიუხედავად, რომ ევროკავშირისა და ნატოს წევრი არ ვართ, ვცდილობთ ისე მოვიქცეთ, თითქოს ამ ორგანიზაციის წევრები ვიყოთ. სანქციები ჯერ კიდევ განიხილება. მაგრამ პრინციპში, ჩვენი პოლიტიკური პოზიცია ისეთივეა, როგორიც შეერთებული შტატების, ევროკავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა, — განაცხადა გიორგი ბარამიძემ.

— ირანის წინააღმდეგ სანქციების პოლიტიკაში საქართველოს ჩართვის ნებისმიერი მცდელობა იქნება პროვოკაცია როგორც ქართული სახელმწიფოს, ისე მთლიანად რეგიონის თანამეგობრობის წინაშე, რაც ფატალურად დასრულდება ჩვენი ქვეყნისთვის. აგვისტოს ომი კომპიუტერულ თამაშად მოგვეჩვენება. — განაცხადა პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარემ კახა კუკავამ გუშინ სპეციალურად ამ თემაზე გამართულ ბრიფინგზე. მან ხელისუფლებას მოუწოდა, გაემიჯნოს ვიცე-პრემიერ ბარამიძის განცხადებას, რათა ეს პროცესები ქვეყანამ მშვიდად და წყნარად გაიაროს. კუკავას თანაგუნდელების თქმით, ისინი ყველა საშუალებას გამოიყენებენ, რათა წინ აღუდგნენ ამ ავანტიურას.

გულნაზ გახარია

ცვლილებები კოდექსში

## პროექტი მოქალაქეთა ინტერესების დარღვევის საფრთხეს ხედავს

**საკითხი „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში“ ცვლილებების პროექტს ეხება, რომელსაც საქმის წარმოების მართვის ერთიან ავტომატურ საშუალებებთან დაკავშირებით, ახალი მუხლი ემატება.**




**კანონპროექტით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იქნება, საქმის წარმოებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, გამოიყენოს პროგრამული უზრუნველყოფა და მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები. კერძოდ, ადმინისტრაციულ ორგანოს შეეძლება ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მიიღოს, გამოსცეს ან გასცეს მართვის ერთიანი ავტომატური საშულებების გამოყენებით, ელექტრონული ასლის სახით შეინახოს და გასცეს თავის მიერ შექმნილი ან თავისთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი.**

**საპარლამენტო უმრავლესობაში ინიციატივას იმ გარემოებით ხსნიან, რომ ხშირად იყო შემთხვევები, როდესაც მოქალაქე ელექტრონული ფოსტის საშუალებით ითხოვდა ინფორმაციას, თუმცა მას იგივე ფოსტით ინფორმაციის მიღების საშუალება არ ჰქონდა, რაც უკმაყოფილებას იწვევდა.**

ინტერპრესნიუსი

როცა შრომის უფლება ირღვევა

# სახალხო დამცველი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს რეკომენდაციით მიმართავს

**საქართველოს სახალხო დამცველი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების საქმის შესწავლის რეკომენდაციით მიმართავს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სახალხო დამცველის პრესსამსახურიდან აცნობეს, 2011 წლის 18 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ხარიტონ შკუბლიანმა თავისი შრომის უფლების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველმა გამოითხოვა და შეისწავლა საქმის ამსახველი სრული დოკუმენტაცია.**

მათივე განცხადებით, საქმის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ არსებობს ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომლებითაც დასტურდება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების არსებითად დარღვევის ფაქტი, რაც, თავის მხრივ, არღვევს მოქალაქე ხარიტონ შკუბლიანის შრომის უფლებას.

ინტერპრესნიუსი

ყურადღება!

# ლაბორატორიის დასკვნით, „სამგორის“ კარაქი არ არის კარაქი

„სამგორი“ მომხმარებელს ატყუებს — კარაქში რძის ცხიმის შემცველობა 0 პროცენტია. პროექტის „მომხმარებლები აკონტროლებენ სურსათის ხარისხს“, წარმომადგენლებმა 26 იანვარს თბილისის ერთ-ერთ მაღაზიაში შეიძინეს დახლზე არსებული „სამგორის“ ორი დასახელების პროდუქტი: „კარაქი 72.5%“ და „კარაქი 60%“ და ლაბორატორიაში მიიტანეს.

ლაბორატორიის „მომავალი საუკუნე“ დასკვნის მიხედვით, აღნიშნული პროდუქტები (ნიმუში 31 და ნიმუში 33) საერთოდ არ შეიცავს რძის ცხიმებს.



გამოხმაურება

# საქართველოს მთლიანობისა და ერთიანობის გასაღები

**ამას წინათ გაზეთ „ახალ თაობაში“ (2012,13 თებერვალი, №36) გამოქვეყნდა ბატონ მინდია გულუას მიმართვა დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაზე ორიენტირებული საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ. ნათელია, რომ ბატონ მინდია გულუას მთავარი გზავნილი მაინც ის არის, რომ კონსტრუქციულ ძალთა ერთობა შეძლებს იმ რთული გამოწვევების დაძლევას, რამაც წლების განმავლობაში გათიშა და ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დააყენა ჩვენი ქვეყანა.**

პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ საქართველო ფეთქებადსაშიში რეგიონების ეპიცენტრიდან არც ისე შორს იმყოფება, ხოლო ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებული აქვს. ასეთ პირობებში, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სტრატეგია და ტაქტიკა, რომელიც ბოლო 20 წლის მანძილზე ჩამოყალიბდა, ვერ უპასუხებს ქვეყნის წინაშე მდგომ ამოცანებს.

საქართველოს გეოპოლიტიკური კოდიდან გამომდინარე, ურთიერთობების დალაგება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან ისევე საჭიროა, როგორც მეზობელ ქვეყნებთან, მით უმეტეს რუსეთის ფედერაციასთან.

ახლა, როდესაც კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოწესრიგების კონცეფციას ალტერნატივა არ გააჩნია, გონივრულად უნდა მივუდგეთ სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებებში გაწევრების საკითხსაც. ეს ეხება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრების პრობლემას, რასაც საბაბად იყენებს ოკუპანტი მეზობელი და რეგიონში დაპირისპირების ესკალაციას უწყობს ხელს.



პატივს ვცემთ რა საქართველოს მოსახლეობის ნებას ქვეყნის NATO-ში გაწევრების თაობაზე, საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს ამ საკითხზე ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების საიმედოობაზე. მიგვაჩნია, რომ მ. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ჩატარებული საყოველთაო გამოკითხვის შედეგები ისევე გაყალბებულია, როგორც საპარლამენტო, საპრეზიდენტო, ასევე ნებისმიერი სხვა არჩევნები. მოსახლეობას ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს იმაში, რომ NATO-ში გაწევრება თავსმოხვეული აქტია. ამ გეგმით, დასაშვებად მიგვაჩნია აღნიშნულ საკითხზე ხელახალი რეფერენდუმის ჩატარებაც კი. მოსახლეობამ იქნებ პირველ ეტაპზე უპირატესობა NATO-ს პოლიტიკურ სეგმენტში გაწევრებას მიანიჭოს. და საერთოდ, ის თუ როგორ ჩამოყალიბდეს ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კონცეფცია, უნდა გახდეს საჯარო განხილვის საგანი.

ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ორ, ერთმანეთთან დაკავშირებულ მიმართულებას მოიცავს: ერთი — ურთიერთობების დალაგება რუსეთთან; მეორე — ურთიერთობების დალაგება აფხაზებთან. ასევე გონივრული მიდგომაა საჭირო ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხის მიმართაც.

ხაზგასმით აღვნიშნოთ: მხოლოდ ერთი მიმართულებით სვლა დადებითი შედეგის მომტანი არ არის.

რუსეთის ფედერაციასთან (ისევე, როგორც დასავლეთთან) ურთიერთობების გაღრმავება - დალაგება დროის მოთხოვნაა. ის, ვინც ცდილობს რუსეთის პირველ თუ სხვა ოფიციალურ პირებთან შეხვედრები ქვეყნის ღალატად შერაცხოს, რბილად რომ ვთქვათ, რეალობის წინაშე სცოდავს და უნდა შეფასდეს, როგორც კონტრპროდუქტიული პოზიცია.

ჩვენი სურვილია ოპოზიციური ძალების გაერთიანება და ქვეყნის მოღალატე ხელისუფლების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნა. მხოლოდ ასე თუ შევძლებთ ქვეყნის გადარჩენას.

ვისაც მხოლოდ საკუთარი თავის (პარტიისძ გადარჩენა და საკუთარი თავის ხილვა სურს პარლამენტარისა და პრეზიდენტის სავარძელზე, მას შეუძლია გაერთიანებაზე უარი თქვას.

გვერდს ვერ ავუვლით რა რუსეთის ოპოზიციურ ძალებთან დამოკიდებულების საკითხს, აღვნიშნავთ, რომ ამ ძალების მესვეურთ არასწორი წარმოდგენა აქვთ საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. ჩვენში, სამწუხაროდ, ის, რაც ავტორიტარიზმის (დიქტატურისძ გამომხატველია, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეებისა და ჟურნალისტების მიერ დემოკრატიად საღდება. საქართველოს მოსახლეობის აბუჩად აგდებაა თუნდაც ის, რომ ერთ-ერთ აქციაზე კ. შარავოიმ დისიდენტ შუკოვსკისა და მ. სააკაშვილის სურათები აუფრიალა პუტინს, როგორც დემოკრატიისათვის მებრძოლთა სახეები. ყოველივე ეს იმ ფასადური დემოკრატიის ანარეკლია, რასაც სააკაშვილი და მისი დაჯგუფება დღენიადაგ აპიარებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

საქართველოსთვის საშიშია არა იმდენად დასავლეთის, გნებავთ, კრემლის პროექტს მორგებული პოლიტიკოსები, არამედ, თვით მ. სააკაშვილის პროექტი და მას ამოფარებული პარტიები, არასამთავრობოები და საზოგადოებრივი მოძრაობები. სამწუხაროდ, მათი რიცხვი არც ისე მცირეა და არხეინად გრძნობენ თავს ხელისუფლების განშტოებებში. ამასთანავე, პარლამენტის მიერ დაჩქარებულ ტემპში მიღებული კანონები და კონსტიტუციური შესწორებანი თავიანთი არსით დრაკონულია. ხელისუფლებამ თავის სასარგებლოდ ყველა რესურსი აამუშავა დაფინანსების, დასაქმების, განათლების სისტემის ვითომ მოდერნიზაციის, სოცუზრუნველყოფის, დაზღვევის და სხვა შეღავათების გავრცელებით იმ მოქალაქეებზე, რომლებიც ნაცმოძრაობის მხარდამჭერებად ითვლებიან. მეორე მხრივ — ოპოზიციური პარტიები (ძალებიძ ჩაყენებულია ისეთ პირობებში, რასაც ძნელად თუ მოეპოვება ანალოგი მსოფლიოში. ხელისუფლების მცდელობა, გადაულახავი ბარიერები შეუქმნან ოპოზიციურ ძალებს, კომიკურია და მხოლოდ ავტორიტარული (დიქტატორულიძ რეჟიმებისათვის არის დამახასიათებელი. მის მიერ შემუშავებული თამაშის წესები, თავისი არსით, ნეობოლშევიკურია, ხოლო თვით ხელისუფლება ნეობოლშევიზმის კლასიკური მაგალითია.

სწორედ ეს მომენტები კარნახობენ ბატონ მინდია გულუას ქ. ბრიუსელში ოპოზიციურ ძალებს უმასპინძლოს იმ მიზნით, რომ ქვეყანა არჩევნებზე გავიდეს ისეთი საარჩევნო კოდექსით, რომელიც საფუძვლად დაედება დემოკრატიულ და ინსტიტუციონალურ გარდაქმნებს.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, ჩვენდა სამწუხაროდ, ურთიერთგამქირდავი რიტორიკის რეჟიმშია გადასული. ეს არ ეკადრება არც ერთი ქვეყნის მმართველს, რა სიმაღლის თუ კუნთების პატრონიც არ უნდა იყოს ის. როგორც ჩანს, ესეც იმ შავი პიარის ნაწილია , რომელსაც ორივე მხარე წარმატებით იყენებს. ეს მაშინ, როდესაც დრო საქართველოს წინააღმდეგ მუშაობს. დროის გაყვანის ტაქტიკა და არჩევნებამდე სიტუაციის გადაგორება, ჩვენი ქვეყნისათვის დამღუპველია.

„განახლებული საქართველოსათვის“ პარტიის დაფუძნებას წინ უძღოდა ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის სერიოზული ანალიზი. უახლოეს პერიოდში განვლილ გზას ხელისუფლება რატომღაც წარმატებულად მიიჩნევს, მაშინ, როდესაც საზოგადოებას საამისო იდეოლოგიურ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები არ გააჩნია. შიშველი ციფრების მოშველიებითა და გაუთავებელი პიარკამპანიების გაჩაღებით, რასაც მნიშვნელოვანი ფინანსები ეწირება, შორს ვერ წავალთ. ვატყუებთ მსოფლიო საზოგადოებრიობას და ვიტყუებთ თავს. სამწუხაროდ, დიდი გასავალი აქვს პიარტყუილებს. ის კარგად ფასობს მსოფლიო ბაზარზე. ამასთან ერთად, ხელისუფლება მარჯვედ იყენებს და დღენიადაგ აპიარებს იმ პროექტებს, რომელთა განხორციელებას, მათივე თქმით, 5 დან 10 წლამდე სჭირდება. ესეც ხომ ბოლშევიკების ნაცადი მეთოდია.

მხოლოდ კონსტრუქციულ ძალთა ერთობითაა შესაძლებელი საქართველოს მთლიანობისა და მისი იურისდიქციის აღდგენა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ამიტომაც მოვდივართ პოლიტიკაში. მიგვაჩნია, რომ ოპოზიციურ (კონსტრუქციულძ ძალთა ერთობაში დევს საქართველოს მთლიანობის აღდგენისა და გადარჩენის გასაღები.

**ლაშა ბერძენიშვილი,**
**დამოუკიდებელი ექსპერტი.**
**პროფესორი.**

ინტერვიუ

# „საპარლამენტო არჩევნები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა. თუ არ მოიგებ, სააკაშვილი და ნაც-მოძრაობა ხელისუფლებაში უმრავლესობით დარჩებიან“...



გვესაუბრება ყოფილი სახალხო დამცველი, ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე, ჟურნალისტი
**ნანა დევდარიანი**

**— ქალბატონო ნანა, ამ ბოლო დროს თქვენს სახელს ხშირად ახსენებენ ნინო ბურჯანაძის, კახა კუკავას, ლევან გაჩეჩილაძის გვერდით, ალბათ, იმიტომ, რომ ივანიშვილის გარემოცვა დატოვეთ...**

— ყველაზე ცუდი ისაა, რომ ახლა ოპოზიციის წარმომადგენლები ერთმანეთის წინააღმდეგ კამპანიას ეწევიან. ეს ბუნებრივია, რადგან თუ ბიძინა ივანიშვილი ვინმესთან თანამშრომლობას არ აპირებს, ეს პოლიტიკური ძალები არსებობას ხომ არ შეწყვეტენ? ამიტომ თავისთავად მოხდება სხვა კონფიგურაციის ოპოზიციური ძალების გაერთიანება.

მე რატომ მგულისხმობენ, არ ვიცი, მაგრამ საჯარო პოლიტიკაში დაბრუნების დიდი სურვილი რომ მქონოდა, ამის შესაძლებლობა 2003, 2004 და დანარჩენ წლებში მქონდა... არც მაშინ და არც ახლა ამის სურვილი არ გამაჩნია.

**— რატომ?**

— ჯერ ერთი, იმ პროცესს, რაც ჩვენთან ხდება, პოლიტიკას ვერ დავარქმევ. ეს არის მახინჯი პროცესი და მასში მონაწილეობის დიდი სურვილი არ მაქვს. მეორე — რევოლუციის მერე ჩემი საჯარო პოლიტიკაში ყოფნა ნიშნავდა (დავჯექი და ვიფიქრე, ავწონ-დავწონეძ რაღაც თავის მართლების რეჟიმში ჩადგომას. რის გამო უნდა მემართლებინა თავი? იმის გამო, რაც არ დამიშავებია? ამიტომ ვთქვი, რომ ვიდრე ე. წ. რევოლუციის (რომელიც სინამდვილეში სახელმწიფო გადატრიალება იყოძ — ამ ზღაპარისა თუნდაც ერთ ადამიანს სჯერა საქართველოში, ჩემს ადგილს აქ ვერ ვხედავ-მეთქი.

**— ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის პერიოდს გულისხმობთ?**

— კი, ორთვიანი ცესკოს თავმჯდომარეობის პერიოდს, რომლის მიზეზითაც — ვითომდა არჩევნების გაყალბების გამო — რევოლუცია მოხდა. ეს არის თავიდან ბოლომდე სისულელე.

**— როგორც გახმიანდა, თქვენ თინა ხიდაშელი დაგიპირისპირდათ სწორედ ამ მიზეზის გამო...**

— ეს არ არის პრინციპული საკითხი და ამის გამო არ წამოვსულვარ იქიდან. სიმართლე რომ გითხრათ, არ მაინტერესებს თინა ხიდაშელი ვის რას ეტყვის, რადგან კარგად ვიცი პროცესი. წამოვედი იმიტომ, რომ იმ ვითარებაში გამარჯვების შანსი ვერ დავინახე, თორემ ვინ ვის რა უთხრა იმერული სიმღერის მსგავსად, არც მე მაინტერესებს.

**— მას შემდეგ რაღაცები შეიცვალა — ივანიშვილის გუნდის წარდგინება გაიმართა... ხომ არ შეიცვალეთ აზრი?**

— რაღაც-რაღაცების კორექტირება დავინახე და გამიხარდა, რომ რაღაცები ცოტა უკეთესობისკენ შეიცვალა, მაგრამ ეს არ იყო არსებითი ცვლილება.

**— რას გულისხმობთ?**

— დაიწყო გარკვეული აქტიურობა, გარკვეული განცხადებები კეთდება, თუმცა გვიანდება ეს ყველაფერი, როგორც ვხვდები, ამა თუ იმ განცხადებას იმხელა ფილტრის გავლა უწევს, რომ ამასობაში გვიანდება. ძველი მაგალითია, მაგრამ მაინც მოვიყვან: 13 იანვარს რომ მომხრეებს გაგილახავენ, 24 იანვარს არ უნდა გამოაქვეყნო განცხადება.

ცოტა მეტი გამოცოცხლება უთუოდ შეიმჩნევა. ყველაზე ცუდი კი პიარის თვალსაზრისით, ჩემი აზრით, ისაა, რომ მუდმივად დამარცხებულის როლში გამოდიხარ — ეს გაგიფუჭეს, ის გაგილახეს, იმაში ხელი შეგიშალეს, შენ მუდმივად ამაზე აკეთებ განცხადებებს. შენ თუ ეს პატარ-პატარა ბრძოლები არ მოიგე, არჩევნებშიც ვერ გაიმარჯვებ. ხალხი შეეჩვია, რომ შენ ერთხელ, ორჯერ, სამჯერ გაჯობეს... იქ აპარატურა გაგიფუჭეს, იქ მოქალაქეობას არ გაძლევენ, იქ ოფისი არ მოგაქირავეს... ამ თვალსაზრისითაც კი ეს პროცესი სწორად არ არის დაგეგმილი და მუდმივი წუწუნია.

ხანდახან პოლიტიკაში მნიშვნელოვანია — რაღაცას თუ წააგებ, ისე უნდა წარმოაჩინო, რომ გამარჯვებული მაინც შენ ხარ!..

**— სააკაშვილის პიარი?**

— სააკაშვილის პიარი ცნობილია. რაც იცის, იმას ნამდვილად ვერ წაართმევ. ეს ის კაცია, რომელიც ახერხებს წაგებულის გამარჯვებულად გასაღებას. ყველა ნაციონალური ტელევიზია, მთელი ადმინისტრაციული რესურსი ამ კაცის ხელშია, გაცილებით მეტი ფულია მის ხელში, ვიდრე ბიძინა ივანიშვილის ხელში და ამაზე არავინ არ ფიქრობს. თუ ფულზეა ლაპარაკი, სააკაშვილის გუნდს ნაკლები ფული არ აქვს. ამ პირობებში შენ თუ მას რაღაც სერიოზული ტაქტიკა არ დაუპირისპირე, მოგება ძალიან ძნელია, თუ საერთოდ გამორიცხული არ არის.

იხ. 5 გვ.

## ახალი პარტიის სათავეებთან

# „სხვაგვარი როგორი შეიძლებოდა, ყოფილიყო საინიციატივო ჯგუფი, ძნელად წარმოიდგენია“

**ბიძინა ივანიშვილმა მომავალი პოლიტიკური პარტიის საინიციატივო ჯგუფის წევრები წარადგინა. წინასწარ გავრცელებული ინფორმაციით, ამ ჯგუფში ცნობილ ფეხბურთელს კახი კალაძეს, ჟურნალისტ ელისო ჩაფიძეს, ზურაბ ჟვანიას ძმას — გოგლა ჟვანიას, ასევე, ნინო ქადაგიძე-ჟვანიასაც მოიაზრებდნენ. აქ ის სახეები უნდა გაერთიანებულიყო, რომლებსაც პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არ ექნებოდა და არც ყოფილ პოლიტიკოსებად იწოდებოდნენ.**

მართლაც, მოლოდინი თითქმის გამართლდა: ბიძინა ივანიშვილმა თავად წარუდგინა საზოგადოებას თავისი მომავალი თანაგუნდელები: ჟურნალისტი ელისო ჩაფიძე, საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი, ადვოკატი არჩილ კბილაშვილი, მწერალი გურამ ოდიშარია, მეცნიერი ვანო კილურაძე, მსახიობი ნინელი ჭანკვეტაძე, უსაფრთხოების პოლიტიკის ექსპერტი ირაკლი სესიაშვილი, ბიზნესმენი გიორგი (გოგლა) ჟვანია, უფლებადამცველი თამაზ ავდალიანი, იურისტი მანანა კობახიძე, ეკონომიკის ექსპერტი ნოდარ ხადური, ექსპერტი თედო ჯაფარიძე, გია ვოლსკი, იურისტი ზაქარია ქუცნაშვილი, დიპლომატი მაია ფანჯიკიძე.

პრეზენტაციაზე ელოდნენ კახი კალაძის გამოჩენასაც. თუმცა კახი კალაძე, ისევე, როგორც საინიციატივო ჯგუფის სხვა წევრები — ლერი ხაბელოვი, ნუგზარ დავითაშვილი არ გამოჩენილან. აქ არ ყოფილა სალომე ზურაბიშვილი, როგორც გაირკვა, მას პოლიტიკაში დაბრუნება ჯერ არ გადაუწყვეტია. თუმცა პრეზენტაციას ესწრებოდა გუგული მაღრაძე, მაგრამ იგი საინიციატივო ჯგუფის წევრებს შორის არ დაუსახელებიათ.

სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილის ამჟამინდელი საინიციატივო ჯგუფის წევრებიდან ზოგიერთი მათგანი საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული აკადემიის“ წევრია. მაგალითად, ნინელი ჭანკვეტაძე და ივანე კილურაძე.

საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობა ადასტურებს, რომ ბიზნესმენს გაცილებით ხიბლავს პოლიტიკაში გაუსვრელ ადამიანებთან ურთიერთობა და მათი წარსულის გათვალისწინება. ამ აზრს იზიარებენ ექსპერტებიც. მათი აზრით, პოლიტიკაში გაცვეთილი სახეების მიმართ საზოგადოებას ნდობა აღარ აქვს. ამ დასკვნამდე კი, არა მარტო ბიძინა ივანიშვილი, არამედ — თვით ნაციონალებიც მივიდნენ. მათაც მოყირჭდათ თავიანთი ძველი სახეებით მანიპულირება. ამიტომაც აღარ ჩანან ვარდების რევოლუციის ელვარე სახეები და, სავარაუდოდ, ნაციონალების ამჟამინდელ მბრწყინავ სახეებსაც ჩამოალაზორანტებენ.

რაც შეეხება ელისო ჩაფიძეს (რომელიც ბიძინა ივანიშვილმა პირველად დაასახელა), იგი ჟურნალისტიკას აღარ დაუბრუნდება, თუმცა ამ გადაწყვეტილებას არც ნანობს, რადგან დარწმუნებულია, რომ ბიძინა ივანიშვილის გუნდი წარმატებას მიაღწევს. პოლიტიკაში წასვლა კი ჟურნალისტს ხელისუფლებამ აიძულა. „რეზონანსში“ მუშაობას რომ ველარ გააგრძელებდა, ამ დასკვნამდე მას შემდეგ მივიდა, რაც მასმედიის მიმართ მმართველმა გუნდმა პირდაპირი აგრესია და მედიის თავისუფლების შეზღუდვა გამოიჩინა.

**„მე დავინახე ის ძალა, რომელსაც შემიძლია დავეხმარო და გვერდში დავუდგე,“** — აცხადებს აწ უკვე ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური პარტიის საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი სახე ელისო ჩაფიძე.

პოლიტიკაში წასული ჟურნალისტი იმედოვნებს, რომ ამ ასპარეზიდან უფრო მეტის გაკეთებას მოახერხებს ქვეყნისთვის და მედიის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების განხრით იმუშავებს. მით უფრო, რომ ცხოვრების მნიშვნელოვანი პერიოდი ციხეებსა და სასამართლოებში აქვს გატარებული.

ნინელი ჭანკვეტაძისთვის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამ დაამსხვრია მითი, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა.

**„როგორც გაზაფხულის მოსვლაა გარდაუვალი, ისე ივანიშვილის გუნდის ხელისუფლებაში მოსვლა გარდაუვალია. შეუძლებელია, ამ გუნდის ხელისუფლებაში მოსვლა ვინმემ შეაჩეროს. ჩვენ დღეს ვდგავართ გზაჯვარედინზე და შეგვიძლია,**



**ავირჩიოთ გზა, როცა შეიძლება ხელისუფლებაში მოვიდნენ წესიერი, ღირსეული ადამიანები, რომელთაც არაფრის ეშინიათ და უყვართ საკუთარი ქვეყანა“,** — აღნიშნავს მსახიობი, რომლის აზრითაც, ბიძინა ივანიშვილის გუნდის პრიორიტეტი სწორედ ღირსებაა.

გოგლა ჟვანიასთვის ბიძინა ივანიშვილის გუნდში გაერთიანება დროებითი მოვლენაა. მას შემდეგ, რაც ქვეყანა ნორმალურ რელსებზე გადაეწყობა, გოგლა ჟვანია თავის ადგილს პოლიტიკაში ვერ ხედავს.

**„არ ვაპირებ, ჩემი ცხოვრება პოლიტიკას მივუძღვნა. ჩვენ კი მეტ-ნაკლებად აქტიურები ვიყავით, მაგრამ პოლიტიკოსები არ ვყოფილვართ. ჩვენ შორის მიმავალი პოლიტიკური გეგმები არ გვაქვს, ჩვენი გაერთიანება საზოგადოებისთვის მოწოდებაა, რათა ისინი შემოგვიერთდნენ და ერთად ვიბრძოლოთ ჩვენი მომავლისთვის, რადგან „ვარდების რევოლუციის“ დეკლარირებული მიზნები დღითი დღე იმსხვრევა,“** — აცხადებს გოგლა ჟვანია.

აღსანიშნავია, რომ ბიძინა ივანიშვილის პარტიას კიდევ ბევრი ადამიანი შეემატება. მათ შორის, სოზარ სუბარი და, სავარაუდოდ, ეკა ბესელია. ივანიშვილის პარტიას „ქართული ოცნება“ — „დემოკრატიული საქართველო“ ერქმევა. მარტის ბოლომდე რეგიონული სტრუქტურების ფორმირება დასრულდება, ამ ეტაპზე კი „ქართულ ოცნებას“ 44 რეგიონში აქვს რეგიონული სტრუქტურები. ბიძინა ივანიშვილის თქმით, სტრუქტურების ფორმირება გაჭიანურდა, რადგან ხელისუფლება ცდილობს, მათ ხელი შეუშალოს და საოფისე ფართის გაქირავებას მეპატრონეებს უკრძალავს. ასეთი ყოველდღიური პრობლემების მიუხედავად, პარტიის პრეზენტაცია და დამფუძნებელი ყრილობა მარტის ბოლოს ან აპრილის დასაწყისში გაიმართება, ხოლო პოლიტიკური პარტიის ლიდერი და საარჩევნო სიის №1 წევრი ბიძინა ივანიშილი თავად იქნება. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი მას მოქალაქეობას არ დაუბრუნებს, მაშინ გუნდს სათავეში მისი მეუღლე ეკატერინე ხვედელიძე ჩაუდგება.

**„სააკაშვილი ცდილობს, საქართველოს მოსახლეობა და ევროპა დაარწმუნოს, თითქოს დემოკრატიას აშენებს, სინამდვილეში კი, მისი მოქმედებები ბატონ-ყმობის პერიოდს უფრო ეხმაურება. თავის გამოსვლებში იგი ოპონენტებს „ბნელეთის ძალებს“ უწოდებს“,** — აცხადებს ბიძინა ივანიშვილი. ამიტომაც გადაწყვიტა, შეექმნა პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მიეღო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

ისევე, როგორც ჟურნალისტებთან ბიძინა ივანიშვილის პირველმა შეხვედრამ, დღევანდელმა შეხვედრამაც არ ჩაიარა პინგვინების თემის გარეშე. როცა „რეალთივის“ ჟურნალისტი დაინტერესდა, ეწვეოდა თუ არა ივანიშვილი მის ტელევიზიას და კერძოდ, გადაცემა „პოლიტიკურ კვირას“ და ამით დაამტკიცებდა, რომ მისთვის რჩეული ტელეკომპანიები და ჟურნალისტები არ არსებობენ, ივანიშვილი დაჰპირდა, რომ, თუ იქნებოდა შესატყვისი სიტუაცია, ეწვეოდა, თუმცა იქვე დაამატა: „პინგვინებით წამოვიდე თუ პინგვინების გარეშე?!“

Presage.tv ესაუბრა მწერალ გურამ ოდიშარიას და პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს.

გურამ ოდიშარიას თქმით, იგი დიდხანს თავს არიდებდა პოლიტიკას, მაგრამ მიიჩნევს, რომ შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილისთვის მისი პერსონა საინტერესო იმით აღმოჩნდა, რომ იგი უკვე დიდი ხანია, სახალხო დიპლომატიის ეგიდით, ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებშია ჩართული. გარდა ამისა, მწერალი ხშირად ხვდება დევნილებს, ამასთან, კავკასიური ფორმატით ღებულობს მონაწილეობას, მათ შორის, კონფლიქტოლოგიის ხაზით, ქართულ- ოსური, ქართულ- აზერბაიჯანული, ქართულ-სომხური ურთიერთობების თვალსაზრისით.

**„რა თქმა უნდა, მწერლობას არ ვემშვიდობები. მაგრამ, რაკი ამ გუნდში გავერთიანდი, როგორც პოლიტიკოსი, ისე წარვდექი საზოგადოების წინაშე. რაღაც გამოცდილება მეც მაქვს, ახალგაზრდაც არ ვარ, პროფესიით ისტორიკოსი გახლავართ, თქვენი კოლეგა — ჟურნალისტიც ვარ. მთელი ბოლო 25 წლის განმავლობაში, სრულიად პოლიტიკური სპექტრი ჩემს თვალწინ იქმნებოდა. არ მინდა, ის შეცდომები განმეორდეს, რაც აფხაზეთში მოხდა. მინდა, ჩემი სიტყვაც ვთქვა და ხელი შევაშველო აფხაზურ-ქართულ დიალოგს. ხშირად ხდება, რომ ვერ ლაპარაკობენ ქართულად, შიგნით წინააღმდეგობები გვაქვს, მაგრამ, რადგან სოხუმში ესენი ვნახეთ და გადავიტანეთ, სულ იმის ფიქრში ვარ, მაშინაც რომ გვესაუბრა აფხაზებთან, სამოქალაქო ომი არ გვექნებოდა. ამიტომ ჩემს თავს ვხედავ ამაში, რათა ისეთი სიტუაცია შევქმნათ, ჩვენი ღვაწლი უკვალოდ არ დაიკარგოს და ქვეყნის სიკეთეს მოხმარდეს“,** — აცხადებს გურამ ოდიშარია.

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის აზრით, არაფერი გასაკვირი არაა, რომ ბიძინა ივანიშვილმა აპოლიტიკურ ადამიანებზე შეაჩერა არჩევანი, რადგან ეს ადამიანები პოლიტიკაზე ისედაც ხშირად მსჯელობენ.

**„დამისახელეთ პოლიტიკური ადამიანი, რომელიც შეიძლებოდა, შეეყვანა საინიციატივო ჯგუფში?! ჩვეულებრივი პოლიტიკოსები უკვე განაწილებულნი არიან სხვადასხვა პარტიაში. ამიტომ ბიძინა ივანიშვილი ხომ არ მოუწოდებდა, შენი პარტია დატოვე და ჩემს პარტიაში გადმოდიო?! რეალურად, ქართულ პოლიტიკაში ასეთი რთული მდგომარეობაა, ამიტომ ახალი პოლიტიკური რეალიზმის შესაქმნელად, ბუნებრივია, უნდა მოიძიო ადამიანები არაპოლიტიკური სივრციდან, მაგრამ ის ხალხი, რომელიც პოლიტიკაზე მსჯელობს, რაც მე ნუსხა ვნახე, იქ ყველა ცნობილია იმით, რომ პოლიტიკაზე საკუთარი პოზიცია აქვთ და პოლიტიკურ საკითხებზე გარკვეული თვალსაზრისი გამოუთქვამთ. ასე რომ, ისინი აპოლიტიკურები ამ მხრივ არ არიან“,** — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

მისი თქმით, ეს სახეები „ქართულ ოცნებას“ იმას მოუტანს, რაც ოცნებას სჭირდება. დღეს კი ამ პოლიტიკური პარტიისთვის აუცილებელია, საზოგადოების წინაშე წარდგეს და საზოგადოებიდან მიიზიდოს ახალი ძალები, ახალი სახეები.

**„მათ უნდა მოახერხონ, ხორცი შეასხან პოლიტიკურ ორგანიზაციას. შეიძლება, ეს საინიციატივო ჯგუფი მოგვიანებით პარტიულ სტრუქტურებში აღმოჩნდეს, შეიძლება — არც აღმოჩნდეს პარტიულ სტრუქტურებში. ასეთი ხორცშესხმისთვის სწორედ ის სახეები, რომლებიც საზოგადოებისთვის სანდოა და, რომლებსაც შეუძლიათ, პოლიტიკურ რეალობაზე მსჯელობა და არგუმენტაცია, მე მგონი, ადეკვატურია. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, სხვა როგორი შეიძლება, ყოფილიყო საინიციატივო ჯგუფი, ძნელად წარმომიდგენია“** — აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ.

**მანანა ნოზაძე**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ირაკლი ოქრუაშვილი ბიძინა ივანიშვილს სასამართლოში უჩივის

ირაკლი ოქრუაშვილს, ეტყობა, ბიძინა ივანიშვილთან წერილობითი ფორმით გასაუბრება მოწყინდა. ბოლო დროს ისინი ბეჭდვითი მედიის საშუალებით ხშირად ახსენებენ და არცთუ სასიამოვნო ფორმით ამკობენ ერთმანეთს.

რამდენიმე დღის წინათ ქართულ პრესაში ირაკლი ოქრუაშვილის პასუხი გამოქვეყნდა. ახლა კი ხმა გავრცელდა, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი ივანიშვილს სასამართლოში უჩივლებს.

**„ახალი თაობა“.**

### გუშინდელი გაზეთებიდან

### „საერთოდაც უხერხულია, როდესაც ადამიანებზე საუბრობენ - „ჩააჩოჩა“... „გადააჩოჩა“

ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი ეკა ბესელია ამბობს, რომ მას და ივანიშვილს შორის არანაირი უთანხმოება არ არსებობს და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული მორიგი ჭორია. ადვოკატის თქმით, ის ბოლომდე დარჩება ივანიშვილის გუნდში და მეტიც, საპარლამენტო არჩევნებში ივანიშვილის გუნდის სახელით აპირებს მონაწილეობას.

**„რეზონანსი“.**

### „სამწუხაროდ, ამაზე დღეს ღიად არავინ საუბრობს“...

„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილის ტელევიზია საქართველოსთვის იქნება უბედურება, — არა მაქვს ილუზია, რომ ეს იქნება ტელევიზია, რომელიც საქართველოს მოსახლეობას სჭირდება. პირდაპირ ვთქვათ, ეს პარტიული მაუწყებლობა იქნება და ასეთი ტელევიზიები მისასალმებელი არ არის.

**„ვერსია“.**

## ინფორმაცია

### დიდუბის პანთეონში 30-მდე თავისუფალი ადგილია დარჩენილი



**დიდუბის პანთეონში თავისუფალი ადგილი 30-მდე საფლავისთვის დარჩა. ამის შესახებ „ჯი-ეიჩ-ენს“ პანთეონის დირექტორმა ბადრი ქუთათელაძემ განუცხადა.**

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ პანთეონში ადგილი აღარ დარჩა. ალბათ, ეს მათ განაცხადეს ვინც პანთეონში დიდი ხნის განმავლობაში არ ყოფილა. ჩვენ გავაფართოვეთ და გავხსენით ღობე, სადაც დიდი ადგილი ცარიელი დაგვრჩა. დაახლოებით შემიძლია თქმა, რომ 20-იდან 30-მდე საფლავის ადგილი ნამდვილად არის. გაზაფხულზე ისევ ვგეგმავთ სარემონტო სამუშაოს ჩატარებას და ვნახოთ, შეიძლება კიდევ გავფართოვდეთ, — განაცხადა ქუთათელაძემ.**

**დიდუბის პანთეონში ბოლოს, 2011 წლის 22 ნოემბერს, მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე დაკრძალეს.**

## ინტერვიუ

(მესამე გვერდიდან)

**— ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მის კოალიციაში გაერთიანებული ადამიანები იდეის გამო არიან ერთად და არა ფულის გამო, თუმცაღა გია ნოდიას აზრით, ამ ხალხს ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ იმის გარდა, რომ ისინი ივანიშვილმა შეარჩია.**

— როგორ არ აკავშირებთ? გია ვითომ ექსპერტი კი არის, მაგრამ სინამდვილეში იგი ერთ-ერთი ყველაზე ანგაჟირებული ადამიანია, რომელიც თავიდან სააკაშვილს უჭერდა მხარს, ბევრისგან განსხვავებით მას არ შეუცვლია პლატფორმა და დამოკიდებულება.

— რა თქმა უნდა, მათ უპირველესად აკავშირებთ ის, რომ მკვეთრად პროამერიკულები არიან, მაგრამ ამის ხაზგასმა გია ნოდიას ხელს არ აძლევს. მაშინ უნდა თქვას, ალტერნატიული პროამერიკული ძალა გამოჩნდაო და ალიაროს, რამ რაღაც საკითხები უნდა მოგვარდეს ვაშინგტონში, და არა თბილისში ან საქართველოს რომელიმე კუთხეში. ეს, რა თქმა უნდა, ხელს არ აძლევს.

უფრო შორს რომ წავიდეთ, იდეა რა არის? თუ სააკაშვილის დეკლარირებული ყველა იდეა აკავშირებთ მათ, ბიძინა ივანიშვილის სიტყვების თანახმად, მაშინ რესპუბლიკელების, ალასანიასა და სააკაშვილის პროგრამულ დებულებებს შორის განსხვავებას ვერ ვხედავ.

ისინი სააკაშვილს ედავებიან იმაზე კი არა, რატომ არიან ისინი ლიბერიანტები, და რომ ცუდად აკეთებთ ამასო, არამედ ამბობენ, ჩვენ მოვალთ და უკეთესად გავაკეთებთო. ასე რომ, თუ იმ იდეაზეა ლაპარაკი, პირადად ჩემთვის იგი მომხიბლავი არ არის. თუ, დავუშვათ, ეს არის ტაქტიკური ერთობა, რომ უნდა გავუშვათ სააკაშვილის ხელისუფლება და მერე ხალხმა თავისუფლად აირჩიოს ის ხელისუფლება, რომელიც მას უნდა, ამაში შეიძლება დავეთანხმო. მაგრამ ამასაც ვერ ვხედავ. თუ ტაქტიკური ამოცანა სააკაშვილის ხელისუფლების გაშვებაა, მაშინ პროამერიკული ორი პარტიის დაახლოების დრო არ არის. ყველა უნდა გაერთიანდეს. და რომ მოვლენ, რაღაც პერიოდის შემდეგ უნდა დაინიშნოს არჩევნები და როგორი ხელისუფლება უნდა, ხალხმა გააკეთოს თავისუფალი არჩევანი. თავისუფალი არჩევანის პირობებში ისინი რესპუბლიკელებსა და ალასანიას არ მისცემენ იმდენ ხმას, რომ მათ საარჩევნო ბარიერი გადალახონ.

**— ვის გულისხმობთ ყველა გაერთიანებაში? მხოლოდ პროამერიკულ ძალებს თუ...**

— ვინც არის, მართლაც, რეჟიმის წინააღმდეგი, იმათ... საქართველოში ვინმემ გამოიკვლია, რომ მოსახლეობას თავის მთლიან მასაში გინდა თუ არა პროამერიკული არჩევანი სურს? სინამდვილეში ადამიანების უმეტესობა ძალიან კარგად ხვდება, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოუგვარებლად ეს პროამერიკული ძახილი და ნატოს აჩრდილი, რომელიც სადღაც დაძრწის და ჩვენამდე ვერ მოვიდა, არაფერს არ უშველის, საქართველოს მდგომარეობა არ შეიცვლება.

**— სხვათა შორის, კახა კუკავამ განაცხადა, რომ ასეთი ძალებისგან განსხვავებით, არც ნატოში ინტეგრაციას ემხრობა, არც ავღანეთში ბატალიონების გაგზავნას... და ეროვნული პოლიტიკაა მათთვის პრიორიტეტი...**

— ამაში დავეთანხმებოდი: სასწორის ორი პინაა. ერთ პინაზე დაიდო ნატოს წევრობა და მეორეზე — აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი. ულაპარაკოდ ვარჩევ, რომ აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი ნატოს სანაცვლოდ დაუბრუნდეს საქართველოს, თუ ეს შესაძლებელი იქნება. ამიტომ კუკავას ამ თვალსაზრისს გავიზიარებ, მაშინ როცა დამოკიდებულება ასეთია — თურმე უნდა დაველოდოთ რუსეთის დანგრევას (რასაც ევროპა 300 წელი ელოდება, მაგრამ საშველი არ დაადგაძ, და მერე თურმე დაგვიბრუნდება აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი.

**— ნაციონალებს გულისხმობთ?**

— ნაციონალებსაც და, უნდა გითხრათ, იმ ორ პოლიტიკურ ძალასაც, რომლებიც ბიძინა ივანიშვილთან მეგობრობენ...

**— მაგრამ ივანიშვილის კოალიციაში „ეროვნული ფორუმიც“ შევიდა?**

# „საპარლამენტო არჩევნები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა. თუ არ მოიგებ, სააკაშვილი და ნაც-მოძრაობა ხელისუფლებაში უმრავლესობით დარჩებიან“...



— ჯერ არ ვიცი. ითქვა, შემოვლენო. ჯერ პოლიტიკური პარტია ჩამოყალიბდება და მერე შემოვა ფორუმიო. სამ ადგილს მისცემენ შარტავას, სანიკიძეს და შავიშვილს, თუ პარტიად შევა, როგორც გაფორმდა მემორანდუმი რესპუბლიკელებთან, და თავისუფალ დემოკრატებთან, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

**— ისევ თქვენ მიერ ივანიშვილის გარემოცვის დატოვებას დავუბრუნდები — ამის გამო ფეისბუქზე, ერთ-ერთმა მოქალაქემ დაგიკომენტარათ: თქვენ მთავრობის დავალება შეასრულეთო.**

— მთავრობის დავალებები რომ შემესრულებინა, დღეს, ალბათ, სხვანაირად ვიქნებოდი და სხვაგან მნახავდით. სხვათა შორის, ზოგიერთი ოპოზიციონერისგან განსხვავებით, ძალიან კარგად ხვდებიან, რომ დავალებებს ვერ მომცემენ. და არც მიუციათ საკუთარი თავისთვის ამის უფლება. მთელს საქართველოსთან ერთად უმძიმესი წლები გამოვიარე და თუ რაიმე იყო დასავალებელი, ადრე დამავალებდნენ, მაგრამ შემსრულებელი რომ არ ვარ, ყველამ ძალიან კარგად იცის.

დანარჩენს რაც შეეხება, ვერანაირი მთავრობის შიშით პირს ვერ ამოვიკერავ და ტყუილების ლაპარაკს ვერ დავიწყებ, სიმართლეზე ვერ გავჩუმდები. და მთელი ჩემი ბიოგრაფიით ეს ძალიან ბევრჯერ დავამტკიცე. ასე რომ, თქვენ მიერ ხსენებული კომენტარები არ მაწუხებს. მე ფეისბუქში არ ვარ.

**— ობამა-სააკაშვილის შეხვედრაზე ბევრი დაიწერა, იმაზე, რომ თეთრმა სახლმა სააკაშვილის ხელისუფლებაში პრემიერ-მინისტრად დარჩენაზე მიანიშნა... ეს აზრი პრესსპიკერმა ნულანდმაც დაადასტურა...**

— ეს მკითხაობაა. ლაპარაკი, ბუნებრივია, იქნებოდა. ეს შეკითხვა სააკაშვილს წამყვანმა ამერიკულმა გამოცემებმა დაუსვეს... შემიძლია მოგიყვეთ, რას ეტყოდა სააკაშვილი ობამას, თუმცა ეს მკითხაობა არ არის, ეს პოლიტიკური ლოგიკაა: კი, ბატონო, მე მივდივარ, პრეზიდენტობაზე კენჭს არ ვიყრი. მე პარტია მყავს, ჩვენ გავდივართ არჩევნებზე. თუ ხალხმა უმრავლესობით აგვირჩია, ჩვენი ნებით ხომ არ ვეტყვით, თქვენ კი აგვირჩიეთ, მაგრამ ჩვენ არ ვიქნებით ხელისუფლებაშიო. ეს რანაირი დემოკრატიაა? მოდელი ისეთია, ვინც უმრავლესობით მოდის, მთავრობას ის ძალა ირჩევს და ასე გადადის სიმძიმის ძირითადი ცენტრი. ასე რომ, ამაზე ამერიკის ვერც ერთი პრეზიდენტი ვერ ეტყვის, ხალხი თუ აგირჩევს, მაინც უნდა წახვიდეო. ყოველ შემთხვევაში, ღიად ვერ ეტყვის, თორემ ზემოქმედების სხვა მექანიზმები არსებობს.

აი, ასეთი საუბარი იქნებოდა. ამიტომ პრინციპული მნიშვნელობა აქვს, როგორ ჩატარდება არჩევნები.

ერთი წუთით დავბრუნდეთ 2008 წლის სინამდვილეში და გავიხსენოთ, ოპოზიციის ძირითადი მოთხოვნა რა იყო — აღარ გვინდა საპრეზიდენტო რესპუბლიკა, გვინდა საპარლამენტოო. მაშინ დავწერე და ვთქვი: ახლა, ამ წუთში ეს ხელს აძლევს სააკაშვილს. მეორე ვადის დასრულების შემდეგ ხომ არსად არ აპირებს წასვლას და როგორ უნდა დარჩეს? ერთადერთი ამ გზით, რომ საპარლამენტო მოდელზე გადავიდეს... ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი... ორ წელიწადში კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანა. შეუძლია თავისუფლად უთხრას ობამასაც, ნულანდსაც და ამერიკელ ჟურნალისტებსაც: ოპოზიცია ითხოვდა საპარლამენტო რესპუბლიკას და მათ ნებას დავყევი, ხალხის სურვილი შევისმინეო...

ამიტომ რაღაცის თქმას რომ დააპირებ, ჯერ უნდა დაფიქრდე, რა შედეგი მოყვება მოთხოვნებს. ეს არის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, თუ არ მოიგებ საპარლამენტო არჩევნებს უმრავლესობით, სააკაშვილი და ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში დარჩებიან.

როგორც ბიძინა ივანიშვილი იქცევა, ეს რეალური შედეგია. ამიტომ წამოვედი, ამაში არ მინდა მონაწილეობა, წაგებულ თამაშში მონაწილეობა არ მინდა. მთავრობის დავალება ის კი არ იყო, რომ ეს ნაბიჯი გადამედგა, დავალება იქნებოდა ის, იქ ვყოფილიყავი და როგორც ბევრია დღეს იქ კარგად მოწყობილი, გაჩუმებული, მეც ასე გავჩუმებულიყავი, თითქოსდა ვერაფერს ვერ ხვდებიან... აი, ეს იქნებოდა დავალების შესრულება.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ბიძინა ივანიშვილი არჩევნებს ვერ მოიგებს?**

— ასე ვერ მოიგებს.

**— საარჩევნო კანონმდებლობაშც სასიკეთო არაფერი შეცვლილა...**

— პირიქით, ბევრი რამ გაუარესდა, ვიდრე იყო...

**— სავსებით შესაძლებელია არჩევნების გაყალბება, არა?**

— ჯერ ერთი, დავიწყოთ იმით, რომ თავისი რესურსი სააკაშვილს მაინც ჰყავს... მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა მას ხმას აძლევს. ახლა მოდაში შემოვიდა ლაპარაკი, რომ მმართველ პარტიას ხმების 30 პროცენტი მაინც ჯიბეში უდევს. 30 პროცენტი ისედაც ჩვენია, რადგან ჩვენია ადმინისტრაციული რესურსიო. ამ 30-ს ემატებიან ისეთნი, ვისაც რაღაც გაუკეთეს, ვიღაცას ოპერაციის გაკეთებაში დაეხმარნენ, ვიღაცას ერთჯერადად დაეხმარნენ, შეშა, საწვავი მიუტანეს... ადამიანების უმეტესობა შინაგანად წესიერია, როგორც კი რაღაცას გაუკეთებ, ვალდებულების გრძნობა უჩნდება — გამიკეთეს და ახლა სხვას როგორ მივცე ხმა? ხელისუფლება ძალიან კარგად სარგებლობს ამ ფსიქოლოგიური მოტივაციებით.

ამას მისხალ-მისხალ აწონვა უნდა, ყველა ამ გამოწვევაზე შტაბი პასუხებს უნდა გეგმავდეს და ყოველდღიურად, ნაბიჯ-ნაბიჯ ქმნიდეს პროგრამას. ახლა კი კვირაში ერთხელ შეიძლება რაღაც გამოხმიანდეს. დიდი მადლობა, აქამდე ესეც არ იყო, მაგრამ კვირაში ერთხელ გამოხმიანებით ეს ამბავი არ კეთდება, და არჩევნებამდე არცთუ ისე დიდი დროა დარჩენილი.

**— იმედია, გააქტიურდებიან.**

— მეც ამის იმედი მაქვს, რატომღაც მგონია, რომ არ არის რაღაც ერთიანი ტაქტიკა და სტრატეგია, მმართველი პარტიისგან განსხვავებით, იქ ზუსტად ყველაფერი კეთდება ისე, როგორც უნდა წყდებოდეს ერთ ცენტრში და გონებრივი შტურმის შედეგად.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

## ინფორმაცია

### ინფორმაციის მიღება საჯარო უწყებებიდან ელექტრონული ფორმითაც იქნება შესაძლებელი

**ამასთან დაკავშირებით ცვლილება „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში“ შედის, რომელსაც საქმისწარმოების მართვის ერთიან ავტომატურ საშუალებებთან დაკავშირებით, ახალი მუხლი ემატება.**

**კანონპროექტით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იქნება საქმისწარმოებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით გამოიყენოს პროგრამული უზრუნველყოფა და მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები.**

**კანონპროექტის მიხედვითვე, ადმინისტრაციულ ორგანოს შეეძლება ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მიიღოს, გამოსცეს ან გასცეს მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების გამოყენებით, ელექტრონული ასლის სახით შეინახოს და გასცეს თავის მიერ შექმნილი ან თავისთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი.**

**კანონპროექტით დგინდება, რომ დოკუმენტის ელექტრონულ ასლსა და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც — თავად დოკუმენტს. ხოლო ადმინისტრაციულმა ორგანომ მის მიერ გამოცემულ ან გაცემულ დოკუმენტში მონაცემები შეიძლება შეიტანოს როგორც მექანიკური, ისე ელექტრონული საშუალებებით.**

### ამერიკელ მილიონერს ქართველი მოცეკვავის ცემის გამო ორთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს

**ინციდენტი 42 წლის ტომას ჰარტმანსა და 37 წლის სოფია კანდელაკს შორის გასული წლის აპრილში, მანჰეტენზე მდებარე ერთ-ერთ იტალიურ რესტორანში მოხდა. მათ შორის კამათი დაიწყო, რომლის დროსაც, მილიონერმა ქალს სახეში გაარტყა. დაზარალებულის განცხადებით, მიყენებული დაზიანება იმდენად სერიოზული იყო, რომ ექიმებმა მას შუბლზე 16 ნაკერი დაადეს. სასამართლო გარჩევის დროს ბრალდება აცხადებდა, რომ ჰარტმანმა კანდელაკს სხეულის განზრახ დაზიანება მიაყენა. ნიუ-იორკის სასამართლომ ბრალდების არგუმენტი გაიზიარა და ჰარტმანს ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯა, თუმცა მოგვიანებით განაჩენი შეუმსუბუქა და მილიონერს სასჯელის ვადა ორ თვემდე შეუმცირა.**

**ჰარტმანის დაცვის განცხადებით, კანდელაკი მილიონერის გაძარცვას ცდილობდა. თავად მილიონერი კი, რომელსაც ერთ ფეხზე პროთეზი აქვს, ირწმუნება, რომ წონასწორობა დაკარგა და კანდელაკს შემთხვევით დაეჯახა.**

**ტომას ჰარტმანი მილიონერი 2004 წელს შემთხვევით გახდა. მას პოლიციელები, რომლებიც ცოლის ცემის გამო მისდევდნენ, მანქანით დაეჯახნენ. ჰარტმანს ფეხის ამპუტაცია გაუკეთეს და სასამართლომ მის სასარგებლოდ 16 მილიონი დოლარის გადახდის გადაწყვეტილება მიიღო. გამდიდრებამდე ჰარტმანი ორჯერ იხდიდა სასჯელს — ავტომობილის მოპარვისა და ჩხუბის გამო.**

ინტერპრესი



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №187

# სამეგრელოს ეპისკოპოსის ცხოვრება და ბედი

## (ფრაგმენტები გამოუქვეყნებელი მონოგრაფიიდან)

ათი წელი იღვაწა გრიგოლ დადიანმა თბილისში და ამ ხნის განმავლობაში ქვეყნის ცხოვრებაში არ მომხდარა ოდნავ მნიშვნელოვანი მოვლენა, მასში ცხოველი მონაწილეობა რომ არ მიეღოს. მოპოვებული მასალები გვაძლევს იმის მტკიცების უფლებას, რომ „თერგდალეულთა“ იდეების თანამგრძნობი, თავიდანვე შეუვალი სიმტკიცით ამოსდგომია გვერდში თვითმყოფადობის შენარჩუნების მოწადინე პატრიოტებს; აქტიურად ჩაბმულა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და, როგორც ჭეშმარიტ სჯულისმოძღვარს ეკადრებოდა, ლოცვა-კურთხევა და შემწეობა არ დაუკლია მათ მიერ წამოწყებული კეთილი საქმეებისთვის. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა, როგორც უფროსი თაობის, ასევე, ახალგაზრდების თვალსაჩინო წარმომადგენლებთან და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას ისიც, რომ „მამათა“ და „შვილთა“ დაპირისპირების ჟამს, ორივე ბანაკის ღვაწლისა და დამსახურების დამფასებელს, ამ სამწუხარო განხეთქილებაში მონაწილეობა არ მიუღია.

აღფრთოვანების გარეშე ვერ წაიკითხავთ გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვისას წარმოთქმულ ქადაგებასაც. იმ დღეს ანჩისხატში დასვენებულ პოეტისათვის საქართველოს ეგზარქოს პავლეს აუგია წესი და შემდგომ სიტყვითაც მიუმართავს, მაგრამ „დროება“ გრიგოლ არქიმანდრიტის ნააზრევს ბეჭდავს. რა ამომწურავადაა დახასიათებული მხცოვანი პოეტის ცხოვრება და ქვეყნის წინაშე გაწეული ამაგი! ამ ქადაგების ყოველი ფრაზა გულშიჩამწვდომია. ბევრი რამ დაწერილა გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, მაგრამ ვფიქრობთ, რომ თანამედროვეთაგან, ილია ჭავჭავაძის შემდეგ, როგორც პატრიოტი, როგორც მშობლიური ენისა და ლიტერატურის ღირსეული მებაირახტრე, ძველი და ახალი თაობის შემაკავშირებელი და ამავდროულად როგორც სახელმწიფო მოღვაწე ქართველ რომანტიკოსთა თვალსაჩინო წარმომადგენელი: ასე სრულყოფილად არავის დაუფასებია.

**„ძმანო და დანო!**

**განგვშორდა ამიერ სოფლით კიდევ ერთი დიდება მამულისა და აღგვივსო მწუხარებითა დღენი ჩვენნი. ღრმა და განუზომელ არს გლოვა მეგობართა, ნათესავთა და პატივისმცემელთა განსვენებულისათა. საგლოველია იგი ჩვენ ყოველთათვის უკლისად; საგლოველია თავად-აზნაურობისათვის, როგორც მათის სარგებლობისათვის მზრუნველი და თავდადებული; საგლოველია ქართული მწერლობისათვის, როგორც წარჩინებული პოეტი; საგლოველია ეკლესიისათვის, როგორც კეთილი შვილი მისი და მაგალითი სულიერის წინამძღვრობისა; საგლოველია გაჭირვებულთათვის, როგორც ხელის აღმპყრობელი და შემწე ყოველ საქმეში; საგლოველია ძველისა და ახლის თაობისათვის, როგორც მათი ერთად შემაერთებელი ძალა გონებით თუ ცოდნით, გრძნობით თუ შემოქმედებით; საგლოველია თვით მელთათვისაც სიკვდილი შეადგენს განსვენებას მძიმეთა, გარნა კეთილ ნაყოფიერთა შრომათაგან მათთა და მოღუაწეობათგან ქვეყნად მოგზაურობითისა ცხოვრებისა თვისისა; იგინი ტკბილად განისვენებენ შრომათგან თვისთა, რადგან საქმენი მათნი ნაყოფიერ არიან და სასყიდელი საქმეთა შეუდგებიან მათთანა. რაოდენ სასიამოვნო არის, კეთილმსახურნო მსმენელო, დღიურთა დამაშვრალთათვის განსვენება ჟამსა მწუხრისასა თუ ნამეტურ სინდისი ეტყვით მათ, რომ აღასრულეს საკუთარი მოვალეობა და გასწიეს შრომა რიგისამებრ. ტკბილი ძილი დაგჩულავს თვალთა და გვიმზადებს სასიხარულო გაღვიძებასა. მაშ რამდენად უტკბილესი უნდა იყოს მიძინება სიკვდილის ძალით შემდეგ დაუცხრომელის შრომისა და ნახევრის საუკუნისა, რამდენად უსასიხარულესი და უმშვენიერესი უნდა იყოს განსვენება სიკვდილის სარეცელზედ, როდესაც ქვეყნიური მაშვრალი და მოღვაწე განისვენებს წრფელის სინდისით?**

**მათდა დაუცხრომლად, იღვწოდა იქამდის, სანამ არაერთგზის დავიწყებია მას თავი თავისი, საკუთარი სიკეთე და მშვიდობიანობა, ძალა და სიმართლე. სამოცი წლის თავის სამსახურში, სასიკეთოდ საზოგადოებისა, მან მოიხვეჭა ესე დიდება, რომლითაცა გარშემორტყმულია დღეს მისი სახელი. ეს სახელი და დიდება დარჩება საუკუნოდ, ვიდრე ცოცხალია ქართული ენა და წიგნი. ვიდრე ქველმოქმედება იქნება წმინდა საქმედ, წრფელ სულს და ნამდვილს კაცობას შთება ქვეყნიერი ძლიერება. ყველას მოაგონდება მისი სიკეთე და არა ვგონებ, თუ ვისმეს ახსოვდეს მისგან წყენა და ბოროტის ჰყოფა. ნეტარ არს იგი, რამეთუ მოკვდა უფლისა მიერ.**

**მე არცა დრო მაქვს მარჯვე და არცა ძალმიძს აღვრიცხო და დავაფასო ღირსეულად მრთლად ეგრეთი ცხოვრება გამოჩენილის კაცისა. მსურდა მხოლოდ სიტყვითა ოდენ ერთითა მომეთხრო თუ რაოდენ სარგებელ არს კაცთათვის კეთილისყოფა, რომელსაცა სახელმწიფოსათვის, როგორც ერთგული პირი ტახტისა და მამულისა, შეკავშირებული ოქროსქსოვილის ჯაჭვითა, ვითარცა სიმბოლო სარწმუნოებითა სრულად რუსეთის ყოვლადმოწყალე ხელმწიფესთან.**

**ყოველის ღირსებით და ნიჭით აღუვსია განსვენებული ზენაარს. ყოველი ბედნიერება და დიდება მიუნიჭებია მისთვის უზომოითა მოწყალებათა თვისითა. ამდენი თანაგრძნობა, ამდენი ტირილი, რამდენიც გარს ახვევია მის ცხედარს, დამსახურებულია ხანგრძლივი მისიის კეთილმოქმედებით და ღირსებითა. მით უფრო ძნელია დაკარგვა ამგვარის მოღვაწე და მზრუნველი პირისა. ამდენადვე მეტად ძნელი იქნებოდა მწუხარების გაძლება ამგვარ შეთხვევაში, თუ წმინდა ეკლესია არ მოგვეშველებოდა თავის ნუგეშით, რომელსაც აღიარებს იგი წმინდა იოანე ღვთისმეტყველის პირით: „ნეტარ არიან მკუდარნი იგი, რომელნი უფლისა მიერ მოკუდენ ამიერთაგან. იტყვის სული: ჰე, რაითა განისუენონ შრომათაგან მათთა და, საქმე მათი შეუდგეს მათ თანა“ (გამოცხ. იოანესი. 13. 13).**

**ჭეშმარიტად ნეტარ არიან მკვდარნი, მაგრამ არა ყოველნი, არამედ იგინი, რომელნი უფლისა მიერ მოკვდენ. თვით უფალი მიიღებს მათ საუკუნოთა სამყოფელთა შინა სიხარულისა და ნეტარებისათა. ნეტარ არიან მკვდარნი, მაგრამ არა ყოველნი, არამედ მხოლოდ ისინი, რო-**



ეპისკოპოსი გრიგოლი (დადიანი)

ესე ვითარი მაშვრალი და მოღვაწე იყო ახლად განსვენებული, თავადი გრიგოლი. ერთგული ტახტისა, მამულისა და ეკლესიისა. იგი იღვწოდა სასარგებლოდ

**ამა ქვეყანასა შინა მისდევს სიტკბოება სულისა, ზნეობითი კმაყოფილება და ამიერ სოფლით საუკუნო ჯილდო.**

**ისწავლეთ, ძმანო და დანო, მაგალითისაგან განსვენებულისა. განსვენებული ესე დარჩება საუკუნოდ სამაგალითოდ მატიანესა შინა ქართულითასა.**

**არცრა გლოვისაგანამცა ნუგეშ ეცემის პატივის მცემელთა ძისათა. არა გიეს პატივის მცემელთა მათ მწუხარება და გლოვა, არამედ სულთქმა საქმეთაგან შეუძლებელ არს ესე, არამედ საქმეთა და საქციელთა, რომელნიცა შესაძლებელ არიან მათთვის. და ესრედ, კეთილ-გასახსენებელო მსმენელო და თქუენ მონათესავენო და მეგობარნო მისნო, სანუგეშოდ განსვენებულის მიღებისა გვრჩების ჩუენ, საუკუნოდ ხსენება მისი, მისგან სიკვდილამდე საყვარელის ქართველის ერისაგან და პირისა ეკლესიის მსახურთასა.**

**მშვიდობა განსვენებასა შენსა, ბრწყინვალეო თავად გრიგოლ დიმიტრის ძევ, კეთილო შვილო მამულისა და ეკლესიისა. შენ დაგვიბრუნე და მოგვიწყალ სიკვდილითა შენითა გულნი ჩუენი, მაგრამ შენვე გვანუგეშე და გვასწავლე ცხოვრებითა შენითა. დასტკბი ნეტარებითა განმზადებულთა მკვდართათვის უფლისა მიერ და განისვენე შრომათაგან შენთა ნათელთა საყოველთა შორის საუკუნოსათა. იყოს ხსენება შენი უკუნისამდე. ამინ“.**

დასასრული. დასაწყისი იხ. № 23

გრიგოლ დადიანის ჩვენამდე მოღწეული სამგლოვიარო ჟანრის ნიმუშთა რიცხვი დიდი არ არის, მაგრამ რაც შემოგვრჩა, ისიც საგულისხმო მასალაა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი ცნობიერების შესასწავლად.

ეკატერინე ჭავჭავაძე, ირაკლი ბატონიშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსი, ნინო დადიანი-მუხრანელისა, კონსტანტინე ლევანის ძე დადიანი, აშილ მიურატი, ნესტორ დიმიტრის ძე და გრიგოლ როსტომის ძე წერეთლები – პიროვნებები – რომლებიც ცნობილინი არიან ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის და რომელთა ხსოვნისადმიცაა ისინი მიძღვნილი. არისტოკრატიის ეს წრე დიდი გავლენით სარგებლობდა თანამედროვეებში. ასე რომ მეუფეს მათი გამოსათხოვარი ეთქვა – ეს არაა გასაკვირი, მაგრამ საყურადღებოა ის გარემოება, რომ საზოგადოებისთვის ცნობილ მოღვაწეთა გვერდით მას დღეისათვის სრულიად უცნობ ადამიანებზეც გამოუთქვამს საკუთარი მოსაზრება – ერთგვარი ნეკროლოგი. დეკანოზი გრიგოლ პავლიევი, მღვდელი კონსტანტინე თოფურიძე, მიხეილ ერისთავი, ბალიკა დავითაია, ფუნდუ ჟვანიას ასული, მარიამ კაცია დადიანის ასული, აგრაფინა აგიაშვილი, კაპიტანი ალექსანდრე გიორგის ძე მასხულია და სხვები, რომელთა ბიოგრაფიის შესახებ დღეს ამ ქადაგებებითღა თუ ვიმსჯელებთ.

**ოფიციალური ისტორია, როგორი მრავალმხრივიც არ უნდა იყოს, ხშირად გვერდს უვლის უჩინოთა ცხოვრებას, იშვიათად ასახავს ხალხის ყოველდღიურობას, ყოფით ამბებს. ამ თვალსაზრისითაც საინტერესოა გრიგოლ ეპისკოპოსის მემკვიდრეობის ეს ნაწილი. ვკითხულობთ მათ და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ უცილობლად შესაგროვებელი და გასაანალიზებელია გრიგოლ დადიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ეს განძი უფრო მეტ მნიშვნელობასა და აზრს შეიძენს და არაერთ თაობას აგრძნობინებს ყოვლადსამღვდელოს ქრისტიანული სიბრძნით გამსჭვალული და პოეტური სულით გაცისკროვნებული სიტყვის ძალასა და მადლს.**

იმდროინდელი მემუარისტიკის, საგაზეთო პუბლიკაციებისა თუ სხვა სახის საარქივო წყაროების გაცნობის შემდეგ უცილობლად შეიძლება ერთი დასკვნის გაკეთება – თანამედროვენი გამორჩევით აღნიშნავენ გრიგოლ დადიანის სულიერ და ფიზიკურ მშვენიერებას, მის პიროვნულ მომხიბვლელობას.

ქართველი არისტოკრატიის ერთ-ერთ კოლორიტულ ფიგურას ნიკო ბაგრატიონს (ბურს) იმდენად დამახსოვრებია, ჯერ კიდევ ადრეული ყმაწვილობისას, მამის – გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელის განსვენებაში (1884 წ. ივნისი) ჩამობრძანებული მოძღვარი, რომ მხცოვანებისას დაწერილ მოგონებებში საგანგებოდ აღნიშნავს ამ ფაქტს:

**„დაკრძალვაზე ჩამოვიდნენ მთელი ჩვენი ნათესავები, მთელი დუშეთის ოლქი, სამღვდელოება ეგზარქოსის მეთაურობით, მაგრამ მღვდელმსახურება ეპისკოპოსმა გრიგოლმა ჩაატარა (ერისკაცობისას იგი ულამაზესი ვაჟკაცი, თავადი დადიანი იყო)“...**

პაატა ქურდოვანიძე

# გენერლის შვილიშვილის მონათხრობი

**როგორ მუშაობდა პარიზის გრამფირფიტების ქარხნის მუშად და როგორ ყიდდა მაწონს საქართველოს შეიარაღებული ძალების უკანასკნელი მთავარსარდალი**

**„მხოლოდ ახლა მოიგონეს ერთი ადამიანი, რომელსაც, სამწუხაროდ ასეთ წუთებში იგონებენ ხოლმე!.. მთავარსარდლად დანიშნეს გენერალი კვინიტაძე, თუმცა ყველა გამოცდილი მეომრისთვის აშკარა იყო, ტფილისის საქმე უკვე წაგებულია...**

**მთავარსარდალი ტფილისს წავიდა, გლეჯდა იქაურობას, მაგრამ ვერაფერს გახდა. მთავრობა დათანხმდა ბოლშევიკების წინადადებაზე – დაეწყოთ მოლაპარაკება!..“**

**(გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე).**

* * *

მართალია, წაგებული ომის, მაგრამ მაინც უდიდესი ავტორიტეტის, ლეგენდარული გენერალი **გიორგი კვინიტაძე...**

მრავალი ფიქრის აღმძვრელია თითოეული ინფორმაცია მისი ცხოვრების, ბრძოლის თუ ბედისწერის შესახებ.

„კვირაძალს საკითხავის“ დღევანდელ ნომერში მოვამზადეთ ინტერვიუ გენერლის შვილიშვილთან, თეატრისა და კინოს ცნობილ მსახიობთან **მარიამ დაბოსთან.** ის დედით ქართველია, მამით ინგლისელი... სიამაყით იგონებს ბაბუას, თავის გენეტიკურ ფესვებს და რატომღაც თვლის, რომ საქართველო ჰგავს ირლანდიას.

**– თქვენ თქვით, რომ ბაბუის ხსოვნა დღესაც ცოცხლობს და მონაწილეობს მისი შთამომავლების ცხოვრებაში...**

– ბაბუის სახელი მუდამ თან მახლავს, რადგან ბავშვობის წლებიდან დამიტოვა ძალიან დი-

№33. შაბათი, 18 თებერვალი, 2012 წელი.

# გენერლის შვილიშვილის მონათხრობი



გენერალი კვინიტაძე და ქაქუცა ჩოლოყაშვილი

დი სითბო... მე ვერ ვილაპარაკებ მასზე, როგორც გენერალზე, მხოლოდ შემიძლია გავიხსენო, როგორც ჩემი ბაბუა. ის გახლდათ ძალიან თბილი და ჰუმანური. განუწყვეტლივ მეთამაშებოდა, ერთად ვიცინოდით. მისთვის მე ვიყავი პატარა ჯამბაზი...

**– დაიბადეთ ლონდონში, ცხოვრობდით პარიზში...**

– 1921 წელს ჩვენი ოჯახი გაემგზავრა საბერძნეთში, იქიდან ევროპაში. მე დავიბადე ინგლისში, რადგან დედა გაჰყვა ინგლისელ მამაკაცს, ხუთი წლის ასაკში პარიზში გადავედით.

ჩვენი სახლი მუდამ ხალხით იყო სავსე და მუდამ გაშლილი იყო სუფრა. ქართველები ყოველ შაბათ-კვირას იკრიბებოდნენ ჩვენთან, ბაბუა იყო ძალიან სტუმართმოყვარე და იმ ადამიანებისთვის მუდამ ღია იყო ჩვენი სახლის კარი.

მახსენდება ბაბუა, როგორც ძალიან ტკბილი ადამიანი, რომელიც ჩემთან ერთად იცინოდა და ხითხითებდა.

ერთხელ, როცა ტელევიზორს ვუყურებდით, აი, იმ დროს, როცა ადამიანი პირველად გაფრინდა მთვარეზე, ბაბუა გაოცებული შეცქეროდა ამ სანახაობას, როცა ჩემთვის, ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ბაბუა გაკვირვებას გამოხატავდა, თუ როგორ განვითარდა მსოფლიო მისი ცხოვრების 96 წლის მანძილზე. ის ხომ იმ დროს იყო დაბადებული, როცა მანქანაც არ არსებობდა...

ბაბუა ყოველთვის ყიდულობდა ქართულ გაზეთებს... მახსოვს, ტელევიზორთან მჯდომი, გაზეთით ხელში... ხშირად კითხვის დროს ჩაეძინებოდა კიდეც და მე ვამბობდი: „ჩაგეძინა, ჩაგეძინა!.. ხშირად ვთამაშობდით... და ძალიან ბედნიერი იყო, რომ ჰყავდა შვილიშვილი. 7 წლის ვიყავი, როცა გარდაიცვალა. ძალიან განვიცადე. მისი სახით, ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანი დავკარგე ცხოვრებაში...

პარიზიდან საცხოვრებლად გადავედით ჟენევაში. დედაჩემი იუნესკოში მუშაობდა და მათი მთავარი ოფისი ჟენევაში გადაიტანეს. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ლონდონის ხელოვნების სკოლაში გავაგრძელე. შემდეგ თეატრალურ სასწავლებელში. ვმუშაობდი ტელევიზიაში, კინოში, შემდეგ ერთ-ერთ ცნობილ თეატრალურ დასში საფრანგეთში.

გერმანიაში ვიმუშავე ფილმზე ნაბოკოვის რომანის მიხედვით „Iaugherin the dark“. ფილმის გადაღება ფინანსური პრობლემების გამო შეწყდა, მაგრამ კომპანია MGM-მა ნახა ოცწუთიანი ნაწყვეტი ამ ფილმიდან, როცა „ჯეიმს ბონდის“ ფილმზე ეძებდნენ მსახიობებს... კონკრეტულად ეძებდნენ მსახიობ ქალს, რომელიც სლავი ქალის როლს ითამაშებდა.

პროდიუსერები ლონდონში დამიკავშირდნენ და ასე მივიღე მთავარი როლი ფილმში „ჯეიმს ბონდი“. ხშირად მიწევდა გასტროლები მსოფლიოს გარშემო. ერთხელ, როდესაც ამერიკაში ვიმყოფებოდი, შემომთავაზეს როლი სატელევიზიო სერიალში. ამის გამო ამერიკაში ათწლიანი კონტრაქტით გადავედი.

ის ათი წელი წიგნის ახალ თავად შეიძლება ჩაიწეროს ჩემს ცხოვრებაში.

ლოს-ანჟელესის მიწისძვრის შემდეგ ევროპაში დავბრუნდი. ვითამაშე ფილმებში „დოქტორ ჟივაგო“, „დორიან გრეი“.

ასევე სამ დოკუმენტურ ფილმს გავუწიე პროდიუსერობა.

ძალიან შემიყვარდა დოკუმენტური ფილმების სამყარო. საერთოდ დოკუმენტური ფილმის გადაღება უფრო ადვილია, მხატვრული ფილმი დიდ თანხებს მოითხოვს. ორ-სამ თვეში ერთხელ პარიზში ჩავდივარ დედაჩემის სანახავად, სწორედ იმ სახლში, ბაბუაჩემს რომ ეკუთვნოდა.

გვაქვს უამრავი სურათი და ნივთი, წინაპრების დანატოვარი. ბებიას, მარიამ მაყაშვილს არ ვიცნობდი. ის გარდაიცვალა მაშინ, როცა დედა ფეხმძიმედ იყო ჩემზე...

როცა სურათებს ვათვალიერებ, ვხედავ, ბებიას სახეზე სევდის კვალი აქვს... ვიცი, მისთვის ძალიან ძნელი იყო ყველაფრის წარსულში დატოვება და სამშობლოდან გაქცევა. ბებია ცხოვრობდა პარიზში, თავისი ფესვების გარეშე, რაც ძალიან სტანჯავდა...

ბაბუა უფრო ძლიერი პიროვნება იყო და ოპტიმისტიც. არასდროს იმჩნევდა წარსულის ტკივილებს.

მახსოვს იგი – გონიერი და სიცოცხლით სავსე ადამიანი...

გარდაცვალებითაც არა ასაკის გამო, არამედ უბედური შემთხვევის გამო გარდაიცვალა. კიბეებიდან დაგორდა...

მე თვითონ არაფერი ვიცი ბაბუაზე, როგორც გენერალზე, მაგრამ როცა საქართველოში ჩამოვდივარ, სულ მისი ქება მესმის. როგორც ჩანს, როგორც სამხედრო პირმა, როგორც მოღვაწემ, დიდი კვალი დატოვა საქართველოში...

ყოველთვის მახსოვს იგი. იცინოდა და მეხუმრებოდა... მე კი ყოველთვის თავს ვაბეზრებდი... ვაწუხებდი, როდესაც გაზეთს კითხულობდა... არ ვიცოდი ვინ იყო ის... ის იყო მხოლოდ ჩემი ბაბუა.





მარიამ დაბო და ტიმოტი დალტონი ფილმიდან „ჯეიმს ბონდი“

სულ მახსოვს, ძალიან ბევრი ხალხი მოდიოდა ბაბუასთან და მასაც უყვარდა ეს სტუმრები.

დედა და ჩემი დეიდები მამას აღმერთებდნენ და როდესაც გარდაიცვალა, ის აღმოჩნდა ძალიან, ძალიან დიდი დანაკარგი. ჩვენ ვიყავით ერთიანი, ერთსულოვანი ოჯახი.

ვფიქრობ, ქართველებს უფრო ახლო კავშირი აქვთ თავის ოჯახთან, ვიდრე ჩვენ, დასავლეთში, ინგლისში ან ამერიკაში.

ვფიქრობ, რომ საქართველოში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ოჯახური ურთიერთობები. არ ვიცი, ეს საიდან მოდის. შეიძლება გამოწვეულია იქიდან, რომ თქვენ იყავით დაპყრობილები და ხალხი ასეთ სიტუაციაში უფრო ცდილობს, რომ ერთად, ერთმანეთთან ახლოს იყოს... ინგლისში ასე არაა.

შეიძლება ეს იქიდანაცაა გამოწვეული, რომ თქვენ არ მოგზაურობთ. განსაკუთრებით არ მოგზაურობდით საბჭოთა კავშირის რეჟიმის დროს. ინგლისსა და ამერიკაში ხალხი მუდმივად მოგზაურობს და აღარ არიან თავის ოჯახზე მიკრულები.

**მე მახსოვს, როგორც ბავშვს – ეს ქართველობა ჩვენს ოჯახში და ქართული ოჯახური ურთიერთობები.**

მახსოვს, პარიზში რომ ვცხოვრობდი, ჩემებს ხშირად დავყავდი ქართველების შეკრებებზე... პატარა გოგოს გამომაწყობდნენ ბიჭის ეროვნულ ტანსაცმელში.

მაქვს ბებიის პატარა პორტრეტი... ბაბუის ყველაფერი დედასთანაა, პარიზში... მის სახლში.. მათ შორის ხანჯალი. ეს ერთადერთი ნივთია, რაც მახსენდება ამ წუთას. არის საოჯახო ვერცხლეულობაც, მაგრამ ეს ხანჯალია პირადად ბაბუას რომ ეკუთვნის.

მახსოვს, როცა ბავშვობაში ხანჯალი პირველად ვნახე, აღფრთოვანებული დავრჩი... დარწმუნებული ვარ, რომ გვაქვს მისი საბრძოლო მედლებიც. მინახავს ბაბუის სურათები, სამხედრო და სამოქალაქო ტანსაცმელში, უფრო საფრანგეთში გადაღებული, ასაკში...

* * *

როდესაც ჩემი წინაპრები საქართველოდან გამოიქცნენ, საბერძნეთში ჩავიდნენ, შემდეგ კი საფრანგეთში. საფრანგეთის მთავრობამ თავშესაფარი მისცა... ძალიან დრამატულია ეს ისტორია... მათ ხომ რაც გააჩნდათ, ყველაფერი საქართველოში დატოვეს. ჩვენები ბინას ქირაობდნენ. ხან სხვენშიც უხდებოდათ ცხოვრება. მეორე მსოფლიო ომის დროს ისინი ცხოვრობდნენ ვიღაცის სხვენში. ბაბუა მუშაობდა ქარხანაში და ყოველდღე უწევდა ოთხი კილომეტრის გავლა ფეხით...

ერთი რამ მახსოვს ძალიან კარგად: 1965 წელს, როდესაც ინგლისიდან ჩამოვედი და მასთან მივედი, სარდაფში ინახებოდა მაწონი. ბაბუა აგრძელებდა ტრადიციას და ადედებდა მაწონს, რომელსაც შემდეგ კიდეც ყიდდა. დიდი ბიზნესი არ ჰქონდა, მაგრამ... ვფიქრობ, კარგი იქნებოდა ბიზნესი გაეკეთებინა ამით.

ერთხელ **მისტერ დანონი** მოვიდა მასთან და შესთავაზა, რომ დიდი ბიზნესი დაეწყოთ, მაგრამ ალბათ იმიტომ რომ გიორგი კვინიტაძე სამხედრო კაცი იყო, არანაირი ინტერესი არ ჰქონდა ბიზნესის. ის მხოლოდ ახლო მაცხოვრებლებისთვის აკეთებდა მაწონს და ვფიქრობ უგემრიელესი იოგურტი გამოსდიოდა შუშის ქილებში...

დედა ახლა 88 წლისაა. ძალიან დიდი ხანის სიცოცხლე არ დარჩენია, დარწმუნებული ვარ, საინტერესოა თუ რა აქვს მას სათქმელი თქვენთვის... მისი გონება ჯერ კიდევ ძალიან გამჭრიახია.

ორივე დეიდა უკვე გარდაიცვალა და ერთადერთი დედაჩემია. დარჩენილი მყავს დეიდაშვილები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დედაჩემს ექნება უფრო მეტი და უფრო საინტერესო ამბები თქვენთვის მოსაყოლი...

როდესაც ისინი საქართველოდან გამოიქცნენ, დედა 3 თვის იყო. მათ ძალიან სწრაფად უნდა დაეტოვებინათ სამშობლო...

* * *

საქართველო წარმომიდგება ქართული დღესასწაულებით და არა პოლიტიკური ამბებით... ძალიან პატარა ვიყავი, რა თქმა უნდა, ვიცოდი საბჭოთა კავშირის შესახებ, მაგრამ უფრო



გიორგი კვინიტაძე პარიზის გარეუბანში ოჯახთან ერთად.



მარიამ დაბო

მახსოვს სიმღერები, ქართული ცეკვები... რაოდენ ლამაზი იყო ეს ყველაფერი...

მახსოვს ცივი ომის დროს ნათესავები რომ ჩამოვიდნენ ჩვენთან. ოჯახის ნაწილი – მამაშვილი. ისიც ცოტა ხნით, 10 დღით. დანარჩენი ოჯახის წევრები არ გამოუშვეს. მახსოვს, 13 წლის ბიჭი, ძალიან ჭკვიანი. დედამ მითხრა, როდესაც ასეთი რეჟიმის ქვეშ ცხოვრობენ, სადაც ინფორმაცია შეზღუდულია, ყველაფერს კითხულობენო... დასავლეთისგან განსხვავებით, სადაც ყველა ვზარმაცობთ და განებივრებულები ვართო ცხოვრებით.

კიდევ ქართველები მახსოვს სადღეგრძელოებით, სადღეგრძელოებით, რომლებიც არ მთავრდებოდა.

მახსოვს მათი სახეები... კაცები იყვნენ ძალიან მამაკაცურები, დიდი ცხვირით, ძლიერი კაცური სახით და ბოხი ხმით.

პოლიტიკური საუბრებიდან მახსოვს, რომ კომუნისტური რეჟიმი იყო საშიში, როგორც საქართველოსთვის, ისევე დასავლეთისთვის და ამერიკისთვის...

გადმოცემით ვიცი, რომ ბაბუამ წვლილი შეიტანა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. ვიცი, რომ კარგი კაცი იყო და უყვარდათ, მაგრამ ვერ წარმოვიდგენ, რადგან არ ვიცი, როგორი სამხედრო პირი იყო, ან თუ ჰყავს ვინმე მოკლული ომში... მარტო მახსოვს ის, რომ ის იყო ჩემი ბაბუა, თავისი ხანჯლით.

ბაბუას არა, ბებიას მამსგავსებენ. ახალგაზრდობაში უფრო ვგავდი ინგლისელი მამის ოჯახს... რაც ასაკი მემატება, უფრო ბებიას ვემსგავსები.

* * *

მე არ დამიმთავრებია პროფესიული მოღვაწეობა, როგორც მსახიობს. სიამოვნებით გავაგრძელებდი თამაშს თეატრში. უკვე ხუთ სპექტაკლში მაქვს ნათამაშევი და სიამოვნებით დავბრუნდებოდი იქ. რაც შეეხება ტელევიზიას, ძალიან ბევრი ტალანტია ინგლისში და ძალიან ცოტაა სამსახური. მე 10 წელი არ ვიმყოფებოდი ინგლისში და ამან ბევრი რამ განაპირობა. ვერ მოვხვდი იმ წრეში, რომელიც წარმატებაში შემიწყობდა ხელს... ამიტომ აღარ მაქვს ბევრი რამის შესაძლებლობა და შანსი. თეატრი ძალიან მაღალ დონეზეა ინგლისში, არ მგონია მსოფლიოში სადმე იყოს თეატრი ასე განვითარებული... რაც შეეხება ტელევიზიას და კინოს, ერთი წლის წინათ ვითამაშე, „დორიან გრეიში“, რომელსაც მარკეტინგი გაუკეთეს, როგორც ტრილერს და საშინელებათა ფილმს. ვფიქრობ, რომ კინოში ხარ ზედმეტად დამოკიდებული სხვაზე, იმაზე თუ როგორ გადაიღებენ თუნდაც, როგორ მარკეტინგს გაუკეთებენ. ეს ყველაფერი ძალიან რთულია და აღარც მე ვარ 20 წლის. და არც მერლინ სტრიპი ვარ რომ?..

ტელევიზიაში ბევრი ცუდი გადაცემაა და არ ვარ დაინტერესებული რომ ვითამაშო სატელევიზიო სერიალებში. როდესაც მე ვითამაშე „დოქტორ ჟივაგოში“, საინტერესო გამოცდილება იყო ჩემთვის. ეს იყო სამსაათიანი ფილმი, სადაც არ იყო გამოტოვებული საინტერესო დეტალები...

**– როგორ ფიქრობთ, წარმატებული იყო თქვენი კარიერა ანუ თქვენი თავი და შესაძლებლობები ბოლომდე გამოხატეთ?**

– დღეს მე ძალიან მაწუხებს ის ფაქტი, რომ ვერ ვიმუშავე უფრო მეტი თეატრში...

საფრანგეთში ჩემი მსახიობური ცხოვრება, პროფესია თეატრით დაიწყო, მაგრამ კარიერა გაგრძელდა „ჯეიმს ბონდით“.

ვფიქრობ, რომ ცხოვრებაში ყველა არჩევანის წინაშე ვდგავართ და ჩვენც არჩევანს ვაკეთებთ, მაგრამ არსებობს უნებური არჩევანიც, რასაც ცხოვრება უალტერნატივოდ გიმზადებს...

ესაუბრა
ნინო ხოფერია

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

თბილისური სუპერმარკეტის ოცი წლის გამყიდველი ქრისტინა, კვირაში შვიდი დღის განმავლობაში, დღეში რვა საათს მუშაობს და მისი თვიური ანაზღაურება 121 დოლარია (200 ლარი), ამ თანხაში გადასახადებიც შედის. ხელფასს მას საათობრივად უხდიან, თუმცა დეკემბრის ბოლოდან ანაზღაურება არ მიუღია. მაგრამ ის მუშაობას არ წყვეტს: ქვეყანაში, სადაც სამუშაო ადგილების დეფიციტია, მას არჩევანი არ აქვს.

საქართველოს მცხოვრებლების უმრავლესობის მსგავსად, ქრისტინამაც გაიგო იმის შესახებ, რომ 30 იანვარს აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების „შესაძლებლობაზე“ ისაუბრა, მაგრამ მას წარმოდგენა არ აქვს, თუ როგორ აისახება ეს კონკრეტულად მის შრომით სიტუაციაზე.

თუკი თბილისი და ვაშინგტონი შეთანხმებას მიაღწევენ, გოგონას დასაქმების პერსპექტივები შეიძლება გაუმჯობესდეს.

მოქმედი შრომის კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს დამქირავებლებს და ისეთ დაქირავებულებს შორის, როგორიც ქრისტინაა, ხელი შეუწყო საერთაშორისო არენაზე საქართველოს ისეთ სახელმწიფოდ წარმოჩენას, რომელიც ბიზნესის ხელშემწყობ რეფორმებს ახორციელებს. თუმცა, შრომის კოდექსმა, რომელმაც ოდესღაც დონალდ ტრამპის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და ლიბერალური მიმართულების კვლევითი ცენტრების მოწონება დაიმსახურა, შესაძლოა თბილისს შეერთებულ შტატებთან თავისუფალ ვაჭრობაზე შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებული იმედების განხორციელების გზაზე დაბრკოლებად ექცეს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში თბილისი შეერთებულ შტატებთან შესაბამისს მოლაპარაკებას აწარმოებს. შეთანხმება თბილისისთვის სასარგებლო უნდა იყოს, მაგრამ შეერთებულ შტატებთან (და ევროკავშირთანაც) მსგავსი ხელშეკრულების გაფორმებისთვის საქართველო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს, რასაც, კრიტიკოსების აზრით, მოქმედი შრომითი კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს.

მთავრობის მტკიცებით, დღევანდელი კანონმდებლობის ძალა მის სიმარტივეშია: დაქირავებულები და დამქირავებლები თავად თანხმდებიან ანაზღაურებასა და სხვა დეტალებზე. მაგრამ ადგილობრივი და საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციების აზრით, საქართველოს შრომითი კანონმდებლობა დამქირავებლებს უსამართლო უპირატესობას ანიჭებს. ამ მხრივ, კრიტიკოსებისთვის საჩვენებელი მაგალითი 2011 წელს ქუთაისის ინდურ-ქართულ საწარმო GeoSteel-ში გაფიცვაა. მაშინ შრომითი კონფლიქტის დროს სამართალდამცავმა ორგანოებმა ბევრი გაფიცული მუშა დააპატიმრეს და დააშინეს.

„შეშფოთების საფუძველი ნამდვილად არსებობს, როდესაც ადამიანები, რომლებიც საკუთარი და კოლეგების ინტერესების დაცვას ცდილობენ, შეიძლება რეპრესიების წინაშე აღმოჩდნენ“, – აღნიშნავს ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილ ინტერვიუში ILO-ს გენერალური დირექტორის ხუან სომავიას სპეციალური მრჩეველი კარი ტაპიოლა. „როგორც ჩანს, საჭიროა ადმინისტრაციულ-შრომითი ურთიერთობების სფეროში თამაშის წესების გარკვევა, რათა მან შესაბამის მდგომარეობას მიაღწიოს და უფრო გასაგები გახდეს“.

სტრატეგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ზურაბ ჯაფარიძე ფიქრობს, რომ შეთანხმების გაფორმებისთვის მთავრობას, ალბათ, მოუწევს კანონმდებლობის გადახედვა. და, როგორც ჩანს, თბილისმა ეს მართლაც უნდა გააკეთოს. აშშ-ს ექსპორტმა ევროკავშირის ქვეყნებში 2011 წელს ფულის სახით 567,6 მილიონ დოლარს მიაღწია, ეს კი აღნიშნულ წელს ქვეყნის ექსპორტის მთლიანი მოცულობის მეოთხედზე მეტია.

ზურაბ ჯაფარიძე, რომელიც კანონმდებლობას მხარს უჭერს, აცხადებს, რომ თბილისი „რთულ

**გააუმჯობესებს თუ არა ქართველების შრომის პირობებს აშშ-სთან თავისუფალ ვაჭრობაზე შეთანხმება?**



მდგომარეობაშია“, რადგან საერთაშორისო შრომითი შეთანხმებების განხილვისას შრომითი საკითხები წამოიჭრება ხოლმე, – ამბობს იგი. – ჯერ კიდევ მანამ, სანამ ამ სავაჭრო მოლაპარაკებას დავიწყებდით, ევროკავშირი ჩვენგან ამ საკითხის რაიმე ფორმით მოგვარებას მოითხოვდა“.

ზურაბ ჯაფარიძე, რომელიც ისეთ არგუმენტებს იყენებს, რომელიც 1980-იანი წლების შრომითი კონფლიქტების დროს ბრიტანელი კონსერვატორების და ამერიკელი რესპუბლიკელების პოზიციას გავს, ამტკიცებს, რომ დასაქმებულთა შესაძლებლობას – თავად მოილაპარაკონ შრომით პირობებზე, საბაზრო კონკურენცია უზრუნველყოფს და არა რეგულაციური ზომები. „სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს დამსაქმებლის და დაქირავებულის ურთიერთობაში“, – ხაზგასმით აღნიშნავს ჯაფარიძე. „ყოველთვის, როდესაც ასეთ საკითხებში სახელმწიფო ერევა, რომელიმე მხარე, ან დამსაქმებელი ან დაქირავებული, პრივილეგიას იძენს“.

საქართველოს შრომითი კოდექსი არ განსაზღვრავს შრომითი ანაზღაურების მინიმალურ ზღვარს, არც სამუშაო დღის ხანგრძლივობას და დამატებითი სამუშაოსთვის კომპენსაციის გაცემას არ მოითხოვს. არ არის მკაფიო არც პროფკავშირების უფლებების საკითხი, გარდა დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვისა (სამუშაო ადგილზე „პირდაპირი ან ირიბი შევიწროვების“ სახით) „რელიგიის, სხვა გაერთიანებებში წევრობის, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების“ საფუძველზე.

ამერიკის შრომის ფედერაციის და მწარმოებელ პროფკავშირთა კონგრესის (AFL-CIO) განცხადება, სადაც გაპროტესტებულია საქართველოს, როგორც აშშ-ს პრივილეგირებული სავაჭრო პარტნიორის სტატუსი, თბილისზე სერიოზული ზემოქმედების ნიშანია, ამბობს ჯაფარიძე. „აშშ-ს სავაჭრო წარმომადგენლობა – პატარა ორგანიზაცია არ არის, რომლის უგულებელყოფაც შესაძლებელია. იმის გათვალისწინებით, თუ რა დონეზე განიხილება ეს საკითხი, მთავრობას მოუწევს გარკვეულ დათმობებზე წასვლა, მიუხედავად იმისა, რომ ის მართალია“, – აცხადებს იგი.

ამერიკის შრომის ფედერაციისა და სამეწარმეო პროფკავშირების კონგრესის მიერ აშშ-ს სავაჭრო წარმომადგენლობისთვის გაგზავნილ მიმართვაში ნათქვამია, რომ შრომის კოდექსი კომპანიებს შესაძლებლობას აძლევს ისეთი თანამშრომლების უგულებელყოფა მოახდინოს, როგორიც ქრისტინაა, რომელიც ზეგანაკვეთზე, ამასთანავე შაბათ-კვირასაც მუშაობს, არანაირ კომპენსაციას არ იღებს და ხელფასს თვეობით არ უხდიან.

თუკი პეტიციას მხარს დაუჭერენ, საქართველო შეიძლება თავისი სავაჭრო პრივილეგიების გარეშე დარჩეს, რომელიც მას პრეფერენციების საყოველთაო სისტემით ენიჭება – პროგრამა, რომელიც განვითარებად ქვეყნებს აშშ-ში პროდუქციის საბაჟო გადასახადის გარეშე შეტანის უფლებას აძლევს, მაგრამ ამ ქვეყნებისგან დასაქმებულთა ძირითადი უფლებების დაცვის გარანტიებს მოითხოვს. თავისუფალ ვაჭრობაზე შეთანხმება საქართველოს დამატებით შეღავათებს მისცემს, მაგრამ შრომის უფლებების, ინტელექტუალური საკუთრების და სხვა უფლებების სფეროში მკაცრ მოთხოვნებსაც დაუწესებს.

ჯერჯერობით საქართველო თითქოს ცდილობს ამ უფლებების დაცვას. 24 იანვარს AFL-CIO-ს განცხადებასთან დაკავშირებული საჯარო განხილვის დროს ხელისუფლებამ პირობა დადო, რომ გამოასწორებს სიტუაციას „კოლექტიური შეთანხმებების გაფორმების“ და „გაერთიანებათა თავისუფლების“ სფეროში, რათა მოახდინოს საქართველოში „ნამდვილი პოლიტიკური ნების“ დემონსტრირება, რაც აუცილებელია შრომის კოდექსის „უფრო მაღალ საფეხურზე აყვანისა და მისი დაახლოებისთვის შრომის საერთაშორისო კონვენციებთან და საუკეთესო მაგალითებთან“.

როგორც საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციის ერთმა მაღალჩინოსანმა განაცხადა (ამ ორგანიზაციაში 27 პროფესიული კავშირი შედის), ხელისუფლების დაპირება, რომ კოდექსს შეასწორებს, ხელს შეუწყობდა ქვეყანაში შრომითი სიტუაციის კორექტირებას, მაგრამ ჯერჯერობით ძალიან ადრეა იმაზე საუბარი, მოხდება თუ არა ამ დაპირებების შესრულება. „ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, რომ პროფესიული კავშირები – ბოროტება არ არის, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მონაწილეობა მათაც შეუძლიათ“, აცხადებს პროფკავშირთა კონფედერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პაატა ბელთაძე.

EURASIANET.ORG

## დედამიწის ზურგზე

### ჩეხი მფრინავი თვითმფრინავის ბორტზე გარდაიცვალა, როდესაც პრაღაში ჩაფრინდა



ინციდენტი მოხდა ჩეხეთის ერთ-ერთი ავიაკომპანიის ლაინერის ბორტზე. საჰაერო ხომალდის კაპიტანმა ფრენის დროს შეუძლოდ იგრძნო თავი. თვითმფრინავის დაჯდომის შემდეგ მისთვის გამოიძახეს ექიმები, მაგრამ პილოტი გარდაიცვალა. თვითმფრინავი მეორე მფრინავმა დასვა. ავიაკომპანიაში ამტკიცებენ, რომ ეკიპაჟმა პროფესიულად იმოქმედა, მგზავრებს არაფერი ემუქრებოდათ.

### კოსოვოელი სერბების 99,74 პროცენტმა რეფერენდუმზე უარი განაცხადა, ეღიარებინა ალბანელთა ხელისუფლება




რეფერენდუმი მოეწყო ოთხ მუნიციპალიტეტში კოსოვოს ჩრდილოეთში, სადაც სერბები არიან დასახლებული. პრაქტიკულად ისინი ერთსულოვნად გამოვიდნენ თვითგამოცხადებული ქვეყნის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. ბელგრადში რეფერენდუმი დაგმეს: მან შეიძლება ხელი შეუშალოს სერბეთს შევიდეს ევროკავშირში და არჩევნების წინაპერიოდში ეს ხელს უწყობს პრეზიდენტ ტადიჩის მოწინააღმდეგეებს.

### ხანძარი ჰონდურასის ციხეში, სადაც 377 პატიმარი დაიღუპა: დაცვა ხოცავდა მათ, ვინც თავის გადარჩენას ცდილობდა



მთლიანად ხანძრის გაჩენის მომენტში არასამთავრობო დაწესებულებაში დაახლოებით 850 ტუსაღი იმყოფებოდა. ხანძრის შესაძლო მიზეზად განიხილება მოკლე ჩართვა და წინასწარი განზრახვა. დაჭრილთა და ცეცხლით დამწვრების ოდენობა რამდენიმე ათეული კაცით განისაზღვრება, თუმცა ზუსტი ციფრების დასახელება ხელისუფლებას ჯერჯერობით არ შეუძლია.

### კარტერის დროს მსოფლიო აშშ-სა და სსრ კავშირს შორის ბირთვული კონფლიქტიდან „რამდენიმე წუთში“ იმყოფებოდა



ეს დაადასტურა ამერიკის შეერთებული შტატების 39-ე პრეზიდენტის ყოფილმა თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში ზბიგნევ ბჟეზინსკიმ. თუმცა, ინფორმაციის გადინება ინციდენტის შესახებ თავის დროზე დაუშვა თავდაცვის ექსმინისტრმა რობერტ გეიტსმა. მისი სიტყვებით, 1980 წელს ბჟეზინსკი გააღვიძეს შუა ღამით და აცნობეს, რომ სსრ კავშირმა ამერიკის მიმართულებით გაუშვა 220 რაკეტა.

### ეგვიპტის ისლამისტები დაიმუქრნენ, გადასინჯონ მშვიდობიანი შეთანხმება ისრაელთან, თუ აშშ შეწყვეტს კაიროს დაფინანსებას



ვაშინგტონსა და კაიროს შორის ურთიერთობის მკვეთრი გაუარესების მიზეზი გახდა სკანდალი ეგვიპტისა და უცხოელი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებით. წინადღით ეგვიპტემ აუკრძალა დაეტოვებინა ქვეყანა კიდევ ორ უცხოელს – ავსტრალიელ ჟურნალისტსა და ამერიკელ სტუდენტს.

### ისრაელის ჰევრონში შვედეთის განათლების მინისტრს თავს დაესხა ებრაელი ახალმოსახლე



დაცვამ შეძლო ჩამოეშორებინა აგრესორი და დაეცვა მინისტრი, რომელიც არ დაზარალებულა. თავად ბიერკლუნდმა განაცხადა, რომ ვერ გაიგო თავდასხმის მოტივი. ისრაელის სამხედროებმა, რომლებიც ესწრებოდნენ ინციდენტს, ვითარება მიიჩნიეს იმდენად დაძაბულად, რომ გადაწყვიტეს შეეწყვიტათ მინისტრის მიერ ჰევრონის მონახულება და მოახდინეს მისი ევაკუირება.

**იუბილე**

## ვულოცავთ ბატონ თამაზ შილაკაძეს

# შენ ის ქართველი ხარ...



**სულში ჩასახუტებელი, სულში ჩასაძვრენი კაციაო, იტყვიან მავანზე და ეს მოფერება თუ ვინმეს ეკუთვნის დღევანდელი ადამიანური ურთიერთობების „გამყინვარების“ ჟამს, უპირველესად ბატონ თამაზ შილაკაძეს.**

მეგობრობა და ძმობა ხომ არ შეიძლება ცალმხრივი იყოს?... ჰოდა, უპირველესად, თვითონ ბატონ თამაზს ჰყავს ჩახუტებული სულში დედა-საქართველო, დედა-თბილისი, უამრავი ნაცნობ-მეგობარი და ძმაკაცი... შესანატრი ჭირისუფალი, შესანატრი ლხინისუფალი, შესანატრი მეუღლე, მამა, ბაბუაა...

ახლა – საქმე... მთელი ცხოვრება შრომაში გაატარეო, იტყვის ხოლმე იგი – ცნობილი მეგზევე – საქართველოს გზათა სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტის „საქგზამეცნიერების“ გენერალური დირექტორი, დამსახურებული ინჟინერი და გამომგონებელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, ტრანსპორტის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი...

ხომ სულ გზებს აპროექტებს და აშენებს ბატონი თამაზი, „გმირთა მოედნის“ სახეცვლილებამ მაინც განსაკუთრებული წონა შესძინა მასა და მის კოლექტივს – უნიჭიერესი არქიტექტორებით დაკომპლექტებულ „საქგზამეცნიერებას“.

წინ კი კვლავ უამრავი საქმეა, ბატონი თამაზი აგერ ახლახან ესაუბრა ტელემაყურებელს, თუ რა გრანდიოზული პროექტი მზადდება მანქანებით გადატვირთული დედაქალაქის კვლავაც და კვლავაც განსატვირთავად, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე სპეციალური გვირაბების ასაშენებლად...

თითქოს, დაუჯერებელია, რომ ეს საოცრად მოძრავი, ენერგიული, თვალებში ახალგაზრდულად სხივმჩამდგარი კაცი, დღეს 80 წლის გახდა. მერე რა – ყველა ასაკი თავისებურად ლამაზია! რა სჯობს, როდესაც ხანმოთეული ხარ და უკან მიხედვის არ გეშინია, როდესაც ახალგაზრდობა ისე გამოიარე, ამ მშფოთვარე ცხოვრებას შენთვის ოდნავი მწიკვლიც არ დაუჩნევია.

ასე მოხვედით თქვენც, ბატონო თამაზ, რვა ათეულ წლამდე და გვწამს, რომ თქვენი სულისა და ხორცის სიჯანმრთელე კვლავაც მრავალ წელს „მოგალუნინებთ“.

ჩვენ დიახაც ვამაყობთ, რომ სამაგალითო მოქალაქე და მამულიშვილი ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი და დამფასებელი ხართ, არც შეხმიანება გვაკლია თქვენგან და არც კაცური ყურადღება.

ჩვენც, შეძლებისდაგვარად, ვცდილობთ, სიყვარულში არ „ჩავიჭრათ“ თქვენთან, გავკადნიერდი იმ დღეს, სულმნათი გალაკტიონი „წავიხმარე“ და სამეგობრო სტრიქონები ლექსად შემოგბედეთ:

**შენ ის ქართველი ხარ –**
**კაცურად და წმინდად,**
**გატანილი რომ გაქვს**
**წუთისოფლის სვრელი,**
**გვიკიჟინებ ყველას:**
**– გზები, გზები გვინდა,**
**გზები – ერთმანეთთან**
**საძმოდ მისასვლელი!**

მაშ, გილოცავთ დაბადების 80 წლისთავს! თქვენ რომ ხშირად გიოცნებიათ, ისეთ საქართველოს მოგასწროთ ღმერთმა!

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“**
**რედაქციის სახელით**
**ვილენ მარდალეიშვილი**

## იუბილარს – ბატონ თამაზ შილაკაძეს

**საქებარი ხშირად უთქვამთ თქვენთვის,**
**ერთხელაც გეტყვით და მეასედაც,**
**ან იმაზე კარგი რა უნდა ვთქვათ,**
**თქვენ მთელი თბილისი გესალმებათ...**
**ჩვენც დიდი სიყვარულით ქედს მოგიხრით,**
**გრძნობებს არ დავიშურებთ შესაქებად,**
**იუბილეს მოგილოცავთ მოწიწებით,**
**ღიმილით და სიყვარულით შესაგებად...**

**ვერავინ ვერ გასწავლით თქვენ სიკეთეს,**
**საქმეს, სიცოცხლეს, თუნდაც მტრის**
**დანდობას,**
**და ამ ქვეყანაზე, რომ ხართ**
**და დახვალთ,**
**ჩვენ უბრალოდ გეტყვით –**
**დიდ მადლობას!**

**(პატივისცემით, SHITA-ს კოლექტივი)**

**ქალი – ნიშანსვეტი**

## თამარი – ქართველი ხალხის ერთიანობისა და სიძლიერის სიმბოლო

თამარის მეფობის ხანა ოქროს ასოებით არის ჩაწერილი საქართველოს ისტორიაში. შამქორის ველზე და განსაკუთრებით ბასიანთან გამარჯვების (1202 წლის 27 ივლისს) შემდეგ საქართველო წინააზიის უდიდეს სახელმწიფოდ იქცა. სწორედ ამ დროს მიეცათ უფლება ქართველებს ცხენზე ამხედრებულნი, გაშლილი დროშით, ყოველგვარი გადასახადების გარეშე შესულიყვნენ იერუსალიმში. მისი მეფობის ხანაში არავინ დასჯილა სიკვდილით, არც ასოს მოკვეთით, არც თვალთა დათხრით. ჰქონდა სიმდაბლე უზომო. თავისი ხელით ნაქსოვ ტანსაცმელს თვითონვე აცმევდა დავრდომილებსა თუ ქვრივ ობლებს. თამარმა დააწესა უპოვართათვის სახელმწიფოს შემოსავლიდან 10 პროცენტის გაცემა. ამიტომაც ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგა ყოველი ქართველის გულში და მარადისობასთან იყარა წილი.

არტურ ლაისტი წერდა: „არასოდეს უცხოვრია რომელიმე ქვეყანაში ისეთ მეფეს, რომელიც შემდგომ თამარივით ამდენივე გადმოცემისა და ლეგენდის თემა გამხდარიყო. საქართველო არის ქვეყანა, სადაც ყოველ ციხე-სიმაგრეს, კოშკს თუ გალავანს თამარის სახელი ჰქვია“.

თამარის გამეფების შემდეგ დადგინდა ქალის კულტი საქართველოში. თამარი გახდა ქართველი ხალხის ერთიანობისა და სიძლიერის სიმბოლო. მისი გარდაცვალების დღე – ძველი სტილით პირველი მაისი, საქართველოში თამარის ხსენების დღედ დადგინდა. 1912 წელს ქართველობამ, როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ, ფართოდ აღნიშნა თამარის გარდაცვალებიდან 700 წელი, რაც ქართველი ხალხის სამოქალაქო შეგნების გაღვიძების უტყუარ ფაქტად იქნა აღიარებული. საიუბილეო დღეებში ქართულმა სამღვდელოებამ წინადადება შემოიტანა, თამარის სახელზე თბილისში ეკლესია აშენებულიყო. ეს სურვილი დღესაც მხოლოდ ოცნებად რჩება.

ასეთი გამორჩეული პიროვნებების გახსენება გვეხმარება, გავიგოთ ვინ ვიყავით ისტორიულად, ვინ ვართ და თანამედროვე სამყაროში ერის „მეს“ თვითგანსაზღვრის და აღგილის პოვნის მძლავრ საშუალებას წარმოადგენს. მარად და ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ის მთავარი, რაც არის ჩვენი მეობის, ჩვენი ღირსების არსი. ეროვნული მეხსიერება ნებისმიერი ხალხის თვითგანახლებისა და თვითგადარჩენის ძლიერ მექანიზმს ქმნის. არჩილ ჯორჯაძე ამასთან დაკავშირებით წერდა: „თავის ღირსეულ წინაპრებს იხსენებს და პატივს ცემს მხოლოდ ის საზოგადოება, რომელსაც თავის თავის პატივისცემა აქვსო“.

2012 წელია, თამარის გარდაცვალების 800 წლისთავი...

**მედეა თავდიშვილი**

**არაჩვეულებრივი გამოფენა**

## ბიეტა აბშილავა ქართულ სიტყვას ქარგავს!

**ამას წინათ, ქართული ლიტერატურის მუზეუმში გაიმართა პოეტისა და მხატვრის ბიეტა აბშილავას რიგით ოცდამეშვიდე გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონით დაწყებული თანამედროვე მწერლებით დამთავრებული, ნაქარგი ლექსები და წერილები. ალექსანდრე ყაზბეგისადმი მიძღვნილ ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 250 ექსპონატი.**

ქალბატონმა ბიეტამ ქარგვა ბავშვობიდან დაიწყო, თუმცა ეს უწყინარი ხელსაქმე, რომელსაც ოდითგანვე მისდევდნენ ჩვენი წინაპრები, თავისი ცხოვრების მიზანი თუ გახდებოდა, ვერც კი წარმოიდგენდა. ამ ყველაფერს ერთი შეხედვით იმ უბრალო შემთხვევას უნდა ვუმადლოდეთ, რომელიც სიყვარულმა შეაძლებინა. სტუდენტობისას თავისივე ლექსი ამოქარგა და შეყვარებულს აჩუქა. წლების შემდეგომ ხელნაწერთა ინსტიტუტში ნანახმა გაცრეცილმა ხელნაწერებმა შეძრა. სწორედ იმ დღიდან გადაწყვიტა, რომ ემსახუროს ქართულ სიტყვას. ტიტანური შრომითა და მონდომებით უკვე 350 ნაქარგი შექმნა.



ყველაზე დიდი დრო – 21 დღე მოანდომა გალაკტიონის „მე და ღამეს“. მის მთავარ ოცნებად „ვეფხისტყაოსნის“ ამოქარგვა რჩება, რომელსაც უსახსრობის გამო ვერ ახერხებს.

ქალბატონ ბეტას მსგავსი ხელოვანი მსოფლიოს ბევრი არა ჰყავს. შესაძლოა ის ერთადერთიც კი იყოს, რომელიც სიტყვის მოჩუქურთმებას, მოქარგვას წლების განმავლობაში ემსახურება.

ისტორიას არ ახსოვს მსგავსი სულის ზეიმი – ერთ სიბრტყეში გაერთიანებული ყველა პოეტი... იისფერი, ზღაპრული გამოფენა, სადაც მათი სუნთქვა და გულის ფეთქვა ისმის.

გამოფენაზე სიტყვით გამოვიდნენ ცნობილი ადამიანები – ნოდარ ტაბიძე, რეზო ადამია, ნანა ნადარაია, გურამ გუნია, ნუგზარ ნადარაია, მარინა თექთუმანიძე, ბადრი ქუთათელაძე, ლიკა ქადაგიძე, ემირ ბურჯანაძე, ბალათერ არაბული და სხვ. პოეტმა მიმოზა ცანავამ სიყვარულს სიყვარული შეაგება და ბიეტა აბშილავას ექსპრომტი უძღვნა.

– კოლხი სიდარბაისლის მქონე ქალბატონი, რომელიც ზნეობასა და სულიერებისკენ მიგვახედებს, ქართული სულის დიდებულ საგანძურს ეფერება; ადამიანი, რომელიც ემსახურება დიდ ხელოვნებას, მან მოაჩუქურთმა ქართული ლექსი, ბიეტა აბშილავა გამორჩეულად ეფერება ქართულს, ქართველ მწერლებს, ჩვენ ვალში ვართ მისი ღვაწლის წინაშე, ამ საქმეში მეტი დაფასება და ხელშეწყობა სჭირდება, – თქვა რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარემ, პოეტმა დავით შემოქმედელმა.

გამოფენა ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება.

**გულნაზ გახარია**

**სურათზე: ბიეტა აბშილავა, ემირ და ფატი ბურჯანაძეები გამოფენის გახსნაზე.**

**წკეპლიკა**

## ვითარცა ჩაცკი?

გახსოვთ, ალბათ, ქართველთა სახელგანსმენილი სიძის ალექსანდრე გრიბოედოვის უკვდავი კომედიის გმირი, ჩაცკი, ხომალდიდან ეგრევე მეჯლისზე რომ მოხვდა („С корабля на бал“...); ანალოგიურად ამოჰყო თავი პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა (აშშ-ში ნაგრიალევმა) თავისი მორიგი „ბოინგის“ ბორტიდან პირდაპირ დუშეთის კლინიკასა თუ საავადმყოფოში (იმდენი აქვს ბოლო თვეებში გახსნილი, რომ აგერევა კაცს...) ავლაბრის რეზიდენციაშიც არ შეუვლია, მგონი...

ასე დაიწყო „ჩვენს ცისფერ ეკრანზე გახსნების მორიგი ციკლი (იგივე „დღეს და ყოველდღე“ ცირკი); არადა, როგორც მახსოვს, დუშეთში ის ობიექტი რამდენიმე კვირის წინათ გახსნა და ახლა რა, „პოსტგახსნუმ“ სიტუაციის შესამოწმებლად ჩავიდა?

ჩავიდა, კარგი, ჩავიდა, მიხეილბატონის წასვლა-წამოსვლა – ასვლა-მოსვლა ვის გაუკვირდება, მაგრამ მე სხვა რამ გამიკვირდა: დუშეთში „ავტომივლინებულმა“ თან ჩვენი შესანიშნავი, დამსახურებული, დიდად პატივსაცემი ბავშვთა ექიმი, 90-ს მიტანებული ირაკლი ციციშვილი რომ იახლა და მაინცდამაინც იქ დააჯილდოვა ბრწყინვალების ორდენით – ამას თბილისში ვერ გააკეთებდა? მგზავრობით ამ დროული კაცის შეწუხება რა საჭირო იყო? თანაც დამატებითაც რომ შეაწუხა და იქ, ადგილზე, ფეხზე გააჩერა, სანამ თვითონ ავტობიოგრაფიული ხაზით (მორიგ ჯერზე!) იხსენებდა ბავშვობას, ავადმყოფობასა და ბატონ ირაკლისთან გასასინჯად მიყვანას... სხვათა შორის, ადგილობრივი მედიკოსი ქალბატონებიც ფეხზე იდგნენ, ჩამწკრივებულნი, და ზოგი გაბადრული სახით, ზოგი თავის ქნევით, ელოდნენ იმის უმაღლესობისა და უგრძელესობის ავტობიოგრაფიული წიაღსვლის დასრულებას...

ოღონდ ყველაფერს ხომ დასასრული აქვს, ის დუშეთური ვიზიტიც დასრულდა და დასასრულ კიდევ ერთხელ ვიკითხე აქ მე: რად გვინდა იმდენი კლინიკა ან საავადმყოფო, თუ ტრავმირებული პატარა ბიჭის მარტო რეგისტრირებაში მოითხოვენ 30 ლარს, ხოლო სამუშაოზე ფეხმოცურებულ და ფეხმოტეხილ ხაშურელ ახალგაზრდა კაცს ოპერაციაში 3750 ლარის(!) „ულტიმატუმს“ წაუყენებენ – როგორც ეს აქუვიზიამ გვამცნო? კიდევ კარგი, აქუს ენა-პირით ატეხილი ერთი ამბის წყალობით იმ ოპერთანხისათვის გვარიანად დაუკლიათ...

...მიშას გახსნების ცქერა-სმენით მართლა გავწამდი, ჩემზე რომ იყოს, ავლაბრიდან არ გავუშვებდი: ქვეყანასა და ხალხს მიხედოს, კმარა წანწალი, კმარა ბათუმი, კმარა გორი, კმარა დუშეთი...

**ბერდია ბედოიძე**

ჭიდაობა

# ოქროებს ბრინჯაო მოაყოლეს



უკვე გაუწყეთ, რომ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა უკრაინის საერთაშორისო ტურნირზე ქართველმა ფალავნებმა ასპარეზობის პირველ დღეს სამი ოქროს მედალი (ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, დავით მარსაგიშვილი, დავით მოძმანაშვილი) მოიპოვეს, მეორე დღეს კი ჩვენებმა ორი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს – კვარცხლბეკის მე-3 საფეხურზე დავით ხუციშვილი (74 კგ) და ელიზბარ ოდიკაძე (96) ავიდნენ.

ხუციშვილმა ზედიზედ ჩამოიცილა გზიდან უკრაინელი ბოგდან დანილიუკი, მოლდოველი უმარ ბორუსევი, აზერბაიჯანელი იბრაჰიმ იუსუბოვი და ყაზახი ლეონიდ სპირიდონოვი. ნახევარფინალში კი აზერბაიჯანელ ალექსანდრ გოსტიევთან დამარცხდა. მესამე ადგილისთვის პაექრობაში უკრაინელ ანდრეი შალიუტას სძლია.

ოდიკაძემ ძირითად ბადეში ორ მასპინძელს აჯობა – ანდრეი ვიშარისა და პავლო ოლეინიკს, მესამე წრეში კი ვალერი ანდრიცევთან (უკრაინა) წააგო, დამამშვიდებელ ჯგუფში მონგოლი ბაჩულუუნ ჩინჩულუუნი დაჯაბნა და ბრინჯაოც გაინაღდა.

**ლაშა დიდია**

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**როგორც მოგეხსენებათ, ფეხბურთელთა XXIII ეროვნული ჩემპიონატი 14 თებერვალს უნდა განახლებულიყო, მაგრამ დიდთოვლობის გამო ეს არ მოხერხდა.**

სფფ-ს გადაწყვეტილებით, სეზონის სტარტი 19 თებერვლისთვის დაინიშნა, თუმცა ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კლიმატური ტერიტორიაზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე" გაუწიონ.

მოკლედ, ალილო და ხვალეო.

* * *

**ამ დღეებში კიდევ ერთი საჩუქრით გაახარა გულშემატკივრები „გლობალ მედია გრუპმა" (ჯი-ემ-ჯი) – წარმატებით დასრულდა ხანგრძლივი მოლაპარაკებები, რამაც საშუალება მოგვცა ევროპის ლიგის პირველი მერვედფინალური შეხვედრებისთვის პირდაპირ ეთერში გვედევნებინა თვალი.**



პირობები ისევ არ გაუარესდა. ასე რომ, ხვალინდელი შეხვედრების, მათ შორის რუსთავის „მეტალურგისა" და თბილისის „დინამოს" XIX ტურის ცენტრალური ბრძოლის, გამართვა ისევ ბუნების კაპრიზებზეა დამოკიდებული. სხვათა შორის, გადადების საფრთხე ყველაზე ნაკლებად სწორედ ამ თამაშს ემუქრება, რადგან, როგორც იცით, ქვეყნის ერთ-ერთ ინდუსტრიულ ცენტრს ხელოვნურსაფარიანი სტადიონი ამშვენებს.

რაც შეეხება დედაქალაქს, „გაგრას" „ზესტაფონისთვის" 31-ე ქარხნის დასახლებაში განთავსებულ „მერანის" სარბიელზე უნდა ემასპინძლა, რომელიც დევნილთა კლუბის დროებით თავშესაფარს წარმოადგენს, მაგრამ ვინაიდან იქაურობა ჯერაც თეთრ საბურველშია გახვეული, სფფ-მ მიზანშეწონილად ჩათვალა ამ გუნდებმა ერთმანეთს მეტოქეობა აგრარული უნივერსიტეტის მიმდებარე

**რაც შეეხება თვით მატჩებს, მათი შედეგები ასეთია:** „ლოკომოტივი" – „ბილბაო" 2:1, „პლზენი" – „შალკე" 1:1, „ზალცბურგი" – „მეტალისტი" 0:4, „აიაქსი" – „მანჩესტერი" 0:2, „ალკმაარი" – „ანდერლეხტი" 1:0, „ლაციო" – „ატლეტიკო" 1:3, „ლეგია" – „სპორტინგი" 2:2, „პორტუ" – „სიტი" 1:2, „ვისლა" – „სტანდარდი" 1:1, „სტიაუა" – „ტვენტე" 0:1, „უდინეზე" – „პაოკი" 0:0, „ტრაბზონსპორი" – „ეინდჰოვენი" 1:2, „ჰანოვერი" – „ბრიუგე" 2:1, „სტოკი" – „ვალენსია" 0:1, „ბრაგა" – „ბეშიქთაში" 0:2, „რუბინი" – „ოლიმპიაკოსი" 0:1.

**საპასუხო რაუნდი 4 მარტს მოეწყობა.**

ჭადრაკი

# ვარსკვლავები – „შერატონში"

**დღეს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" იწყება ვარსკვლავთა ტურნირი – პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის ქალთა თასი, რომელშიც 9 ქვეყნის 12 წარმომადგენელი იბრძოლებს პირველობისთვის (საპრიზო ფონდი 40.000 ამერიკელი დოლარი, პირველი პრიზი – 10.000 დოლარი).** სწრაფ ჭადრაკში (თითოეულ მონაწილეს პარტიისთვის 20 წუთი ეძლევა ყოველ სვლაზე 5 წამის დამატებით) ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ცხრაგზის გამარჯვებული მაია ჩიბურდანიძე, მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონები – ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) და ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), ორ-ორგზის ევროპის ჩემპიონები – კატერინა ლახნო (უკრაინა), ნატალია კოსინცევა (რუსეთი) და პია კრამლინგი (შვედეთი), მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპია-




დების ოქროსმედალოსნები – ნანა ძაგნიძე და ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი), 20-წლიანებში მსოფლიოს ჩემპიონი ანა მუზიჩუკი (სლოვენია), რომელსაც თასის გათამაშების მონაწილეთა შორის ყველაზე მაღალი რეიტინგი (2580) აქვს, 2011 წლის ევროპის ჩემპიონი ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა), ანა ზატონსკიხი (აშშ) და ზეინაბ მამედიაროვა (აზერბაიჯანი).

**ლექსო ცინცაძე**

ხელბურთი

# სტუ ლიდერობას არ თმობს

**სპორტკომპლექს „არენაში" საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა 22-ე ეროვნული ჩემპიონატის მორიგ მატჩში თსსუ – „მერანმა" აგრარული უნივერსიტეტის გუნდი დაამარცხეს 41:29, ხოლო ქუთაისის სპორტის სასახლეში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელბურთელებმა მასპინძლებს სძლიეს (39:24) და ლიდერობას განაგრძობენ.**

**მომდევნო ტურის მატჩები 28-29 თებერვალს გაიმართება.**



ინტერნეტიდან

## პაპმა „ატლეტიკო" დალოცა

**მადრიდის „ატლეტიკოს" ფეხბურთელები და ოფიციალური პირები, იტალიაში ჩასულნი რომ იყვნენ ევროპის ლიგის მეთექვსმეტედ ფინალის მატჩზე რომის „ლაციოსთან", მიიღო რომის პაპმა ბენედიქტ XVI. კლუბის წარმომადგენლებთან ერთად პაპის აუდიენციაში მონაწილეობდა 8 ათასამდე კაცი, ესპანეთიდან და სამხრეთ ამერიკის ესპანურენოვანი ქვეყნებიდან რომ ჩამოვიდნენ.**

პაპი შეკრებილთ მიესალმა მოკლე სიტყვით, ხოლო „ატლეტიკოს" ფეხბურთელებს უსურვა სპორტული წარმატება. მადრიდული გუნდის სახელით ბენედიქტ XVI-ს გადაეცა მაისური მისი სახელის წარწერით.



პაპის მახლობლად ყოფნა უნდა ევროპის ბევრ სხვა ცნობილ კლუბსაც. ნახევარი წლის წინათ ბენედიქტ XVI გადაეცა მაისური „რეალის" ფეხბურთელებისგან. როგორც ამ დღეებში ვწერდით, „ბავარიის" პრეზიდენტს ული ხენესს უნდა, პაპს შესთავაზოს მათი კლუბის საპატიო წევრად გახდომა.

## პუტინი სტუმრად საციგურაოზე

**როგორც რუსული სპორტული პრესა იტყობინება, ხუთშაბათს საციგაო-ბობსლეის კომპლექსის სტუმარი იყო რუსეთის მთავრობის თავმჯდომარე ვლადიმერ პუტინი, ვიცე-პრემიერ დიმიტრი კოზაკთან და სპორტის მინისტრ ვიტალი მუტკოსთან ერთად. შემდეგ ვიდეოკონფერენციის სახით ჩატარდა თათბირი „რუსეთის ფედერაციის ნაკრებების სპორტულ-საწვრთნელი ცენტრების განვითარების ზომების შესახებ". თათბირი რომ შეაჯამა, პუტინმა თქვა, რომ 2015 წელს ქვეყანაში იგეგმება 52 ოლიმპიური სახეობის აუცილებელი ბაზებით უზრუნველყოფა. მუტკომ კი დაამატა, რომ მალე ოლიმპიური სახეობები 58-მდე გაიზრდება.**



თათბირის წინ პუტინი იყო მეციგავეთა ვარჯიშზე და გაესაუბრა ქვეყნის ნაკრების წევრებს, რომლებმაც მას აჩუქეს სუვენირული ციგა. შემდეგ პრემიერი ციგით დაეშვა ნორჩ პილოტთან ალექს შადრეევთან ერთად. ჟურნალისტების კითხვაზე „მოგეწონათ?", პუტინმა უპასუხა „გირჩევთ"!

## ორმოცდამეორედ საავადმყოფოში

**ცხენიდან 367-ე გამოვარდნის შემდეგ 33 წლის რობერტ ტორნტონი აღიარეს ყველაზე ხელმოცარულ მხედრად დიდ ბრიტანეთში, ამ სპორტსმენმა 42-ჯერ მიიღო სერიოზული ტრავმები და ახლა მოტეხილ ხელს მკურნალობს, რადგან მასზე ცხენმა ფეხი დაადგა.** ამ ხნის განმავლობაში ვაი-მხედარმა 24-ჯერ გაიტეხა ნეკნები, ცხრაჯერ ლავიწი, დაკარგა ბევრი კბილი და კიდევ მრავალი ტრავმა მიიღო. მიუხედავად ყოველივე ამისა, ის მაინც დიდი ბრიტანეთის წამყვანი ჟოკეია. მონაწილეობდა 8023 დოღში და გაიმარჯვა 1037-ჯერ. „ჯერ არ დავნებდები, – აღიარა ტორნტონმა – იმ დღეს, ჩემს ძალებში ეჭვი რომ შემეპარება, პენსიაზე გავალ".

## ბეჰემოთი აღარ გახდება

**ბრიტანელი მოდელი და მსახიობი ჯენიფერ ელისონი ჩაება თავის ფიტნეს-პროგრამის რეკლამის კამპანიაში.**

ღია საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი ტანადი ლამაზმანის გვერდით დგას მსუქანი ქალი, რაღაცრაღაცებით რომ ჰგავს ახლანდელ ელისონს. ელისონს არასოდეს დაუმალია, რომ ის დედაა და რომ ბიჭის დაბადების შემდეგ 2010 წელს ბეჰემოთს ჰგავდა. თუმცა ახლა ამ ცხოველის კვალიც აღარ დარჩა, მან მრავალი კილოგრამით დაიკლო, ვარჯიშობს ფიტნესით ოჯახის პირობებში.



ჩოგბურთი

# წყვილებში – პირველი

**ქართველი ჩოგბურთელები – სოფიო შაფათავა და ეკატერინე გორგოძე ამერიკის შეერთებული შტატების 25 000-დოლარიან ტურნირში მონაწილეობდნენ, მაგრამ ერთეულთა თანრიგს ადრევე გამოეთიშნენ – გორგოძე კანადელ ჰეიდი ელ ტაბახთან დამარცხდა (5:7, 6:3, 5:7), ხოლო შაფათავა მე-4 ნომრად განთესილ ჩეხ ანდრეა პლავაჩკოვას დანებდა (2:6, 2:6). სამაგიეროდ, ჩვენებურებმა წყვილთა თანრიგში იყოჩაღეს – ფინალში სოლოვიოვა – ვენეროვას რუს-სლოვენიური ინტერნაციონალური წყვილი დაჯაბნეს (6:2, 3:6, 10:6) და პირველი ადგილი დაიკავეს.**



ბურუსი

# მაშ, რატომ იბრიქება მიშა?

**„ძალიან ვინერვიულეთ თქვენზე. ეს გატაცების არც პირველი შემთხვევაა და, სამწუხაროდ, შეიძლება, არც ბოლო აღმოჩნდეს, ვიდრე იქ ბანდიტური უკანონობა გრძელდება ჩვენი მტრის ხელშეწყობით. ყველაზე მთავარი დღეს ისაა, რომ თქვენ აქ ხართ. ამაზე ფიქრი ერთი წუთითაც არ შეგვიწყვეტია. მეორე მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ არა მხოლოდ არავითარი გამოსასყიდი არ გადაუხდია ვინმეს, არამედ მათ საკადრისი პასუხიც მიიღეს (თუმცა ყველა დეტალზე ახლა ვერ ვისაუბრებთ)“** – ეს სიტყვები პრეზიდენტმა გათავისუფლებულ ბერ-მონაზონს მასთან შეხვედრისას უთხრა.



პრეზიდენტს არ დაუკონკრეტებია, რა საკადრისი პასუხი მიიღეს ბერ-მონაზონის გამტაცებლებმა. როგორც სააკაშვილი ამბობს, **„ყველამ თუ არა, ამ ხალხის ერთმა ნაწილმა მაინც გაიგო და დანარჩენებსაც მოუყვებიან, რომ ჩვენი მოქალაქეების თავისუფლების, სიცოცხლისა და უსაფრთხოების ხელყოფას ჩვენი მხრიდან ყოველთვის მოჰყვება პასუხი. და ჩვენს მოქალაქეებს კი, „კბილებით“ დავიცავთ და ამისათვის ყველა საშუალებას გამოვიყენებთ“.**

მიუხედავად იმისა, რომ ბერ-მონაზონი თავისუფალია და ის მადლობა უხდის პრეზიდენტს და ძალოვანი უწყების წარმომადგენლებს მისი გათა-



ვისუფლებისათვის, დღემდე ბურუსითაა მოცული მისი როგორც გატაცების, ასევე გათავისუფლების ამბავი.

ბერ-მონაზონმა პრეზიდენტთან საუბარში განაცხადა, რომ მისი დატყვევებისა და პატიმრობის დროს მიყენებული შეურაცხყოფის მიზეზი მხოლოდ ერთი რამ – მისი ქართული წარმომავლობა იყო.

**„ეს დღეები მთელი ცხოვრების განმავლობაში მემახსოვრება. მემახსოვრება ის, რომ ჩემს გვერდით იდგა ჩემი პრეზიდენტი და ჩემი სახელმწიფო... როცა მსგავს მდგომარეობაში იმყოფები, ხარ დატყვევებული, შეურაცხყოფას გაყენებენ და ამ დროს ვიღაც მოდის შენს დასახსნელად, ეს უდიდესი, ენით აღუწერელი ბედნიერებაა. ჯერაც არ გამოვსულვარ ამ მდგომარეობიდან – ყველაფერი დილით მოხდა... მსგავსი შინაგანი სიხარული მაშინ დამეუფლა, როდესაც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ბიჭები დამხვდნენ და ტყიდან გამომიყვანეს“,** – განაცხადა მღვდელ-მონაზონმა პრეზიდენტთან შეხვედრისას...

ბერ-მონაზონ იონას (მამუკა მაისურაძის) გათავისუფლება 11 თებერვალს მოხდა.

ხელისუფლების კონტროლირებადი და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ასოცირებული მედიასაშუალებები გვიმტკიცებდნენ, რომ ბერ-მონაზონ მამუკა მაისურაძის გათავისუფლება სამართალდამცველების მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე წარმატებული სპეცოპერაციით მოხერხდა. თუმცა შს სამინისტრო ირწმუნება, რომ არავითარი ოპერაცია არ ჩატარებულა.

ქართველ სამართალდამცველებს ბერ-მონაზონ იონას გათავისუფლებისთვის სპეცოპერაცია არ ჩაუტარებიათ და მედიასაშუალებებმა, რომლებაც ამის შესახებ თქვეს ან დაწერეს, არასწორი ინფორმაცია გაავრცელეს, – პრესაგე.ტვ-ს ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა განუცხადა.

**„არ ვიცი, რომელმა მედიასაშუალებამ რა დაწერა, ან – რა თქვა. სამინისტროს მხრიდან არავის უთქვამს, რომ სპეცოპერაცია ჩატარდა. ვთქვით, რომ ხორციელდებოდა ღონისძიებები ბერ-მონაზონ იონას გათავისუფლებისთვის. მისი გათავისუფლება სწორედ ამ ღონისძიებების შედეგად მოხერხდა“,** – განაცხადა უტიაშვილმა.

საგულისხმოა, რომ მოლაპარაკებებს ბერ-მონაზონ იონას გათავისუფლების შესახებ უტიაშვილი უშუალოდ ხელმძღვანელობდა. სწორედ მან დასვა ეს საკითხი გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე. ამ ფორმატით მიმდინარე მოლაპარაკებებში შს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი ქართულ მხარეს წარმოადგენს.

ვერსიას, ქართველი სამართალდამცველების მიერ აფხაზეთში, საოკუპაციო ძალების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, სპეცოპერაციის ჩატარების შესახებ უარყოფს ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. შინაგან საქმეთა სამინისტროს გალის რაიონული განყოფილების ხელმძღვანელი ლოურენს კოლონიაც და ქართველი სასულიერო პირის გაუჩინარების თავისეულ ვერსიასაც გვთავაზობს:

**„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ ტერიტორიაზე არავითარი ღონისძიების ჩატარება არ შეუძლია. მეორეც, ბერ-მონაზონის აფხაზეთის ტერიტორიაზე ყოფნა არ დასტურდება. დარწმუნებული ვარ, რომ ის საქართველოს ტერიტორიაზე ჰყავდათ დაკავებული და თუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისი გათავისუფლება შეძლო, ეს მათი უფლებაა, დეზინფორმაცია კი, იმის შესახებ, რომ ის აფხაზეთში იყო, მიზანმიმართულად გაავრცელეს“,** – ამბობს კოლონია.

ინფორმაცია ბერ-მონაზონ იონას გაუჩინარების შესახებ იანვრის ბოლოს გავრცელდა. ოფიციალური ინფორმაციით, ის აფხაზეთის ტერიტორიაზე ენგურის გავლით იანვრის შუა რიცხვებში გადავიდა. მას აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული ტაძრების მოლოცვა და ძეგლებისთვის ფოტოების გადაღება სურდა.

მოგვიანებით ნაციონალური არხებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ მღვდელმსახური აფხაზეთში გაიტაცეს და მისი გათავისუფლების სანაცვლოდ გამოსასყიდის სახით 100 ათას დოლარს ითხოვენ.

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ აფხაზურმა მხარემ სასულიერო პირის გაუჩინარების ფაქტთან დაკავშირებით განსხვავებული კომენტარები გააკეთა. აფხაზეთში განდგომილ სასულიერო პირთა ერთ-ერთი ჯგუფის ხელმძღვანელმა ბესარიონ აპლიამ თავიდან განაცხადა, რომ ქართველი სასულიერო პირი აფხაზეთის ტერიტორიაზე არავის გაუტაცებია და ის ე.წ. საზღვრის დარღვევისთვის დააკავეს. თუმცა, აპლიამ ბერ-მონაზონის გაუჩინარებასთან აფხაზური მხარის რაიმე სახით კავშირი მალევე უარყო და თქვა, რომ გაუჩინარებულის მოძიების პროცესში აფხაზი სასულიერო პირებიც ჩაერთვებოდნენ.



**„ჩვენ აქტიურად ვცდილობთ, გავიგოთ, სად არის ის. ერთი ვერსიით ის დააკავეს, მეორე ვერსიით – გაიტაცეს. აქტიურად ვმონაწილეობთ მის ძებნაში და ვიმედოვნებთ, უახლოეს დღეებში გავარკვევთ მის ადგილსამყოფელს“,** – აცხადებდა აპლია ქართულ მედიასთან საუბრისას 30 იანვარს.

მოგვიანებით, ბერ-მონაზონ იოანეს გათავისუფლების შემდგომ, ბესარიონ აპლია ერთ-ერთ ქართულ ინტერნეტგამოცემასთან საუბარში აცხადებს, რომ ბერი იოანე აფხაზეთში არ ყოფილა.

**„ის აფხაზეთში საერთოდ არ ყოფილა. ეს საერთოდ, რაღაც... ვიღაცამ პროვოცირება მოაწყო. ის საერთოდ არ ყოფილა აფხაზეთში. სად აღარ ვიკითხე. სიმართლე რომ გითხრათ, სპეციალურად ჩავედი, ვიკითხე. აქ ის არავის არსად უნახავს. არ არსებობს ინფორმაცია, რომ ის აფხაზეთში იყო“,** – აცხადებს ბესარიონ აპლია.

**დალი ბჟალავა,**
Presage.tv

## განცხადება

2012 წლის 12 მარტს დღის 11 საათზე დანიშნულია სააქციო საზოგადოება „ყვარლის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:
1. 2011 წლის წლიური ბალანსის განხილვა.
2. სხვადასხვა საკითხები.

სააქციო საზოგადოება „ყვარლის“ ადმინისტრაცია. მისამართი: ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. №72.

## გახსენება

# ელვერ კუპატაძე



ელვერ, ჩვენო ძვირფასო და უსაყვარლესო, უკვე ორმოცი დღეა, რაც ჩვენთან აღარ ხარ, წახვედი და დაგვიტოვე ენით უთქმელი სევდა, დიდი ტკივილი და მონატრება. ყველას დააკლდა შენი სითბო და სიყვარული, დიდი ძალა, იმედი და საყრდენი იყავი ყველასათვის.

შენ იყავი უაღრესად განათლებული, უკეთილშობილესი, ნიჭიერი, თავმდაბალი და პატიოსანი ადამიანი. უდიდესი შრომისმოყვარეობით მოიპოვე ყველა ის დიდი წარმატება, რასაც კი მიაღწიე.

დღე არ გავა, რომ შენმა მეუღლემ, დედმამიშვილებმა, შვილებმა და შვილიშვილებმა არ გაგიხსენონ და ცრემლით არ აევსოთ თვალები. ჩვენს ოჯახს უკვე პატარა მარიამიც შემოემატა, რომლის დაბადებასაც ასე ელოდი.

ვინ აღარ გკითხულობს, ვინ აღარ რეკავს შენი უეცარი სიკვდილის გამო გაკვირვებული და დამწუხრებული. ყველას მოაკლდი, ყველას მოენატრე.

უფალს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ვაჟკაცური სული და მსუბუქი ყოფილიყოს შენი საფიცარი სამშობლოს მიწა, რომელსაც მთელი შენი ცხოვრება მიუძღვენი. დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში. გკოცნით და გეფერებით.

შენი საყვარელი ოჯახი
და დედმამიშვილები

# ელვერ კუპატაძე

უშენობით გამოწვეული ორმოცი ტკივილიანი და მწუხარების დღე გავიდა.

შენ ოჯახში, გვარში რაიონში და საქართველოში გამორჩეულს, 63 წლის ასაკში საქართველოს პარლამენტიდან გამოსულს გიმტყუნა გულმა, რომელიც სავსე იყო შენი ხალხისა და შენი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით და იმყოფებოდა შემოქმედებითი ენერგიის აღზევების პერიოდში.

შენ ერთნაირად წარმატებული იყავი სამოქალაქო და სამხედრო სამსახურში – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 60-ზე მეტი წიგნისა და მეცნიერული შრომის ავტორი, გენერალ-მაიორი. კითხულობდი ლექციებს უმაღლეს სასწავლებლებსა და თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ აკადემიაში. ხელმძღვანელობდი საქართველოს ომის და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკურ საბჭოს. მხედრული სულის პატრონი იყავი და მხედრული პატივი მოგაგეს დაკრძალვისას თანამებრძოლებმა და მეგობრებმა.

დღეს კვლავ შევიკრიბებით შენს საფლავზე შენი ოჯახის წევრები, დედმამიშვილები, მეგობრები, თანამებრძოლები და ყველა ახლობელი, გაგიხსენებთ უსაზღვრო სიყვარულით, დავღვრით ცრემლს და შევთხოვთ უფალს, ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

მერი, მევლუდ, თეონა, თორნიკე,
ლოტბერდი, ელზა კუპატაძეები

---

შვილები კახა, ნესტანი, შვილიშვილები გიორგი, ირაკლი, ლუკა, შვილთაშვილები სანდრო, ელენე, რძლები თამარი, ლიკა, მაშა, დოდო გეგეჭკორი, ნელი, სიძე ბესო კობერიძე, და ნანული, ძმა არჩილი, დისწული მამუკა, ძმისწულები კოტე, ხათუნა, გოგი, აჩიკო, ლიზა, ცოლისძმა ვალიკო ბუტკოვსკი, ქვისლი გურამ კაიშაური ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გიორგი (გოგი) გოგელია**

პანაშვიდი 18 II, 16 სთ. მისამართი: დიღმის მასივი, მე-6 კვარტალი, კორპუსი 22ა (ყოფილი წითელქუდას შენობა). გამოსვენება 19 II, 14 სთ. საბურთალოს მაცხოვრის ამაღლების ეკლესიიდან (საბურთალოს სასაფლაო).

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს არჩილ გოგელიას ძმის

**გიორგი (გოგი) გოგელიას**

გარდაცვალების გამო.

---

თენგიზ ქავთარაძე, ზურაბ ცქიტიშვილი ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ არჩილ გოგელიას ძმის

**გიორგი გრიგოლის ძე გოგელიას**

გარდაცვალების გამო.

---

იური ოსიპოვი, გურამ ჯაიანი, გივი ცაგარელი, ილარიონ ხაზარაძე ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან ცნობილი ინჟინრის, ღვაწლმოსილი ვეტერანი მოფარიკავისა და საზოგადო მოღვაწის

**გიორგი (გოგი) გოგელიას**

გარდაცვალების შესახებ.

---

ჭუმბურიძეთა საგვარეულო კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება უკეთილშობილესი ქალბატონის

**ქუქუნა ნადარეიშვილი-ჭუმბურიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს შვილებს – რამაზს, რუსუდანს და მაკას ოჯახებთან ერთად.

---

შვილები ქეთევან, სოსო ბარნაბიშვილები, შვილიშვილები ანა, გიორგი, ნინიკო, რძალი ნანა ნადარეიშვილი, ინგა გვეტაძე ოჯახით, ზარნაძეები ოჯახით, ძნელაძეები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამარ ალექსანდრეს ასული**

**გვეტაძე-ბარნაბიშვილი**

დაკრძალვა 18 II, გამოსვენება ქაშვეთის ეკლესიიდან 14 სთ.

## გვეკითხებიან — ვუპასუხებთ

### ონეგინი კი – მოხუცია!

**რომელიღაც რეჟისორმა გადაწყვიტა ევგენი ონეგინი მოხუცად ექცია. რატომ? სკოლიდან ხომ გვახსოვს, რომ ის 26 წლისა იყო!**

ონეგინის დაბერება გადაწყვიტა მოსკოვის ვახტანგოვის სახელობის თეატრის მხატვრულმა ხელმძღვანელმა რომას ტუმინასმა. მის სპექტაკლში ონეგინი 50 წელზე ოდნავ ახალგაზრდა იქნება.



ტუმინასი პირველი არ არის, ვინც გადაწყვიტა კორექტირება შეეტანა კლასიკოსის შემოქმედებაში. მაგალითად, ბორის ეიფმანის ბალეტში ონეგინი არის ინტელიგენტი, რომელიც გაწბილებულია 1991 წლის რევოლუციის შედეგებით და დედაქალაქიდან პროვინციაში გარბის.

თეატრ „სოვრემენნიკის“ სპექტაკლში „შინელი“ რეჟისორმა ვალერი ფოლკინმა აკაკი აკაკიევიჩი აქცია რაღაც უსქესო არსებად, რომლის როლიც მარინა ნეიოლოვამ შეასრულა. პიტერის ალექსანდრინკაში ფოკინისავე ჰამლეტი დარბის დარბაზში თავზე ქვაბით და გიჟის პერანგით.

კირილ სერებრენიკოვმა მოსკოვის ჩეხოვის სახელობის მხატვრულ თეატრში ოსტროვსკის პიესა „ტყე“ XIX საუკუნის რუსული საბატონო სახლიდან გადაიტანა XX საუკუნის 70-იანი წლების სკკპ ცენტრალური კომიტეტის სანატორიუმის რეალიებში.

კ.ბოგომოლოვის სპექტაკლ „მეფე ლირში“ მეფის როლი შეასრულა ო.ტაბაკოვის თეატრის მსახიობმა ქალმა როზა ხაირულინამ. რატომ აკეთებენ რეჟისორები ამას? ასე ცდილობენ ისინი აიძულონ მაყურებელი შეხედონ ნაწარმოებებს, რომლებსაც სკოლაში ზეპირად ვსწავლობდით, ახლებურად.

### აზრები შეიძლება წაიკითხო?

**ამბობენ, რომ მეცნიერებმა ისწავლეს, თუ როგორ მოუსმინონ აზრებს.**

ამერიკის შეერთებულ შტატებში პაციენტებს, ვისაც ტვინთან მიერთებული ჰქონდათ ელექტროდები, აწვდიდნენ ხმებს მოსასმენად, შემდეგ თხოვდნენ გონებაში გაემეორებინათ სიტყვები. როდესაც თვალყურს ადევნებდნენ ტვინის ტალღოვან აქტივობას, მეცნიერებმა აიძულეს კომპიუტერი გაემეორებინა ეს სიტყვები.

აღნიშნული ტექნოლოგიები დაეხმარება შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებს მიმართონ ექიმს, მართონ ინვალიდის ეტლები და ა.შ., დარწმუნებული არიან ჩვენი მეცნიერები.

### პარტიის არა მხოლოდ ოქრო, არამედ პლატინაც?

**ამბობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სანაპიროზე აღმოაჩინეს ჩაძირული გემი, რომელშიც იყო ტვირთი საბჭოთა პლატინით — მისი ღირებულება 3 მილიარდი დოლარი იყო.**

იმის შესახებ, რომ 1942 წლის ივლისში ბრიტანეთის გემი „პორტ ნიკოლსონი“ ჩაძირა გერმანიის წყალქვეშა ნავმა, დიდი ხანია ცნობილია. ეს ისტორიული ფაქტია. მაგრამ განძისმაძიებელ გრეგ ბუკსის განცხადება, რომ ხომალდს მიჰქონდა სსრ კავშირიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გაგზავნილი ტვირთი გენდ-ლიზის გადასახდელად, ახალი ამბავი გახდა.

ასეთ ისტორიებს იხსენებენ რეგულარულად, რაც იშვიათად დასტურდება. თუმცა 1980-იან წლებში ინგლისის კრეისერ „ედინბურგიდან“ მართლაც ამოიღეს 5 ტონაზე მეტი რუსული ოქრო. 45 პროცენტი მიიღეს მაშველებმა, ერთი მესამედი — ბრიტანელებმა, დანარჩენი სსრ კავშირს ერგო.

### ველოდოთ სიყვარულს... ასტეროიდისგან?

**ამ ცოტა ხნის წინათ დედამიწას ახლოს ჩაუქროლა ასტეროიდმა ეროსმა. მე სწორედ იმ დღეებში მოულოდნელად დამეწყო ახალი ვნებიანი რომანი. და აი, ახლა ვმკითხაობ: ამაში ბრალი ასტეროიდს ხომ არ მიუძღვის, ასეთი სახელწოდება რომ აქვს? საერთოდ, თუ ახდენენ გავლენას ციური სხეულები ჩვენს რომანტიკულ განწყობილებაზე?**

— სექსუალურობაზე, პოტენციაზე და სქესთა ურთიერთობაზე, უწინარეს ყოვლისა, გავლენას ახდენენ მთვარე და ვენერა, — ამბობს ასტროლოგი გ.ზარიაშვილი. — ესენი არიან ყველაზე „ძლიერი“ ციური სხეულები, განსაკუთრებით თუ ისინი მოქმედებენ ადამიანის ჰოროსკოპში. ისინი ხდიან მას ჰიპერსექსუალურად და მიმზიდველად, ან, პირიქით, უქმნიან პრობლემას ურთიერთობაში საპირისპირო სქესთან.



ხოლო როდესაც მთვარე გადის ზოდიაქოს ეროტიკულ ნიშანზე (ასეთებია, მაგალითად, მორიელი და ვერძი), პრობლემები შეიძლება გაჩნდეს სწორ ადგილზე. ესე იგი ეფექტი შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი: ერთი მხრივ ძლიერდება ეროტიზმი, მეორე მხრივ — ინგრევა მშვიდი, ჰარმონიული ურთიერთობანი. სხვათა შორის, ძველად ასეთი პერიოდებისთვის ხურავდნენ „სიყვარულის ტაძრებს“. იზრდებოდა ინფექციურ დაავადებათა და ნეგატიური ენერგიების გაცვლის ალბათობა.

ასტროლოგები ასევე უთმობენ ყურადღებას მთვარის ფაზებს. სექსუალურ აქტიურობაზე გავლენას ახდენს მისი პირველი და ბოლო მეოთხედები. სავსე მთვარე აძლიერებს ქიმიური რეაქციების სიჩქარეს. იზრდება ქალების მიმზიდველობა, ამ დღეებზე ხშირად მოდის ოვულაცია. სავსე მთვარის დროს კი — პირიქით.

რაც შეეხება ასტეროიდებს, მათი გავლენაც შეისწავლეს. ის უფრო ძლიერია, ვიდრე ვარსკვლავების ზემოქმედება, მაგრამ სუსტია, ვიდრე პლანეტებისა და მთვარისა. როდესაც დედამიწის გვერდით მიდიოდა ასტეროიდი ეროსი, სქესების აქტიურობა მართლაც გაიზარდა, მაგრამ ეს დაკავშირებული იყო იმასთან, რომ მარსი და ვენერა ოპოზიციაში იმყოფებოდნენ.

## დაიჯესტი

### სწავლების ორი ფორმა

**ოქსფორდსა და კემბრიჯში სწავლება სტუდენტების პედაგოგებთან მიმაგრების პრინციპს ეფუძნება. აღნიშნული მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტები თავიანთ ლექტორებს ცალ-ცალკე, ანდა ორ-სამკაციან ჯგუფებად ხვდებიან იმისთვის, რომ თავისუფლად ურთიერთობისას დაწვრილებით იმსჯელონ კონკრეტული საგნის, ან შესრულებული დავალების თაობაზე.** ლექციებს ამ უაღრესად პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესის უფრო მეორეხარისხოვან ფორმად განიხილავენ, ვიდრე სხვა უნივერსიტეტთა უმრავლესობაში, სადაც ისინი სწავლების ძირითად ფორმას წარმოადგენენ.

### „მკვდარი წიგნების“ ბალასტი



**თავის დროზე ყოფილ საბჭოთა კავშირს მსოფლიოში ყველაზე უფრო დიდ „წიგნის მოყვარულ“ ქვეყნად აღიარებდნენ, რაც, გარკვეულწილად, სიმართლეს შეესაბამებოდა. ამ მტკიცებას ის გარემოებაც ადასტურებდა, რომ საბჭოთა კავშირში მსოფლიოში წიგნების ყველაზე დიდი ბიბლიოთეკური ფონდი იყო, რომელიც დაახლოებით 2-2,5 მილიარდ ერთეულს ითვლიდა! უბედურება მხოლოდ ის იყო, რომ ამ ზღვა წიგნის თითქმის ნახევარი ეგრეთ წოდებული „მკვდარი წიგნი“ იყო, რომელიც ბიბლიოთეკიდან არავის არასდროს გაჰქონდა. საბჭოთა იმპერიის არსებობის ბოლო 25 წლის მანძილზე სახელმწიფო საბიბლიოთეკო ფონდი გაორმაგდა კიდეც, მაგრამ მოსახლეობის ნახევარზე მეტს ბიბლიოთეკებში ფეხი მაინც არ შეუდგამს...**

პარადოქსული იყო საბჭოთა კავშირში, სახვითი ხელოვნების ნიმუშების მხრივაც. მთლიანად წლის მანძილზე ოფიციალურად დაახლოებით 400-500 ათასი მანეთის ღირებულების ფერწერული თუ გრაფიკული ნაწარმოები იყიდებოდა, რაც საშუალო ავეჯის მაღაზიის ერთი თვის ნავაჭრს უდრიდა!

### „საჩუქარი“ ვეტერანს

**ყოფილი საბჭოთა კავშირის ფსკოვის 76-ე დივიზიის 104-ე პოლკის ყოფილმა სამხედრო მოსამსახურემ ალექსი სოკოლოვმა ბინა მიიღო.**

გასაკვირი ამაში, ცხადია, არაფერი იქნებოდა, რომ არა ერთი „უმნიშვნელო“ დეტალი: ვეტერანი მედესანტე საკუთარი საცხოვრისის მიღებას... ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ელოდა (?!ქ. ეს საჩუქარი რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ალექსი სოკოლოვს... დაბადების 100 წლის თავზე მიართვა!

**განცხადება**

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).

ფასი შეთანხმებით.

ტ. 593 537-988, 551 480-096.

## კადრი



## ანეკდოტები

**გოგო მივიდა მოსამზადებელ კურსებზე და ახალგაზრდა მასწავლებელ კაცს წაეკეკლუცა:**

**— რას მასწავლით აქ?**

**— სანამ თვრამეტისა გახდებოდეთ, მხოლოდ მათემატიკას!**

* * *

**— არაფერი შეგეშალოს, მეცხრე კლასამდე ფრიადოსანი ვიყავი! — ცხარობს გოგო.**

**— მერე რა მოხდა?**

**— მერე მკერდი წამომეზარდა და...**

* * *



**სახლში საშიში ძაღლია! — აწერია კარზე. მძარცველები მაინც გადაძვრნენ ღობეზე და კარიც გახსნეს. უცებ ზღურბლზე პატარა პუდელი გამოჩნდა.**

**— ეს შენა ხარ საშიში? მაინც რა შეგიძლია? — სიცილით კვდებიან ქურდები.**

**— შემიძლია სიგნალიზაციის ღილაკზე თითის დაჭერა.**

* * *

**— თუ ღმერთი გწამს, ნუ ცდილობ შენი ინტელექტით ჩემს გაოცებას!**

**— მაგრამ მე ხომ ხმას არ ვიღებ.**

**— აი! ისეთი სახე გაქვს, თითქოს ფიქრობ.**

* * *

**მამაკაცმა, რომელიც ამტკიცებს, რომ ქალის ადგილი სამზარეულოშია, უბრალოდ, არ იცის, რა უნდა აკეთოს მასთან ერთად საძინებელში.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24